

ISSN 0130 1624

# დროშა

მაისი

№ 5 1982 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მ. ს. სოლომენცევი,**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

...ლენინურ პარტიას ბრძნულად და გულდაჯერებით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნისტური საზოგადოების შექმნისაკენ. პარტიის პოლიტიკას უნდა ვუმადლოდეთ შრომაში მოპოვებულ მიღწევებს, იმ სიხარულს, რომ ვცხოვრობთ ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ვითარებაში, ვმუშაობთ და ვსწავლობთ მშვიდობის პირობებში და დარწმუნებული ვართ ჩვენი სამშობლოს მიჯნების, სოციალიზმის მონაპოვრების შეუვალობაში.

პარტიის პოლიტიკამ ახალი შინაარსით აავსო ჩვენი ხალხების საუკუნოვანი მეგობრული კავშირი, დაამყარა მათ შორის ნამდვილი ძმობის ურთიერთობა.

პარტიის მიერ შედულაბებული ინტერნაციონალური ერთობა და მყარი კლასობრივი კავშირი დაეხმარა ჩვენს ხალხებს, გაეძლოთ ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში, აღემართათ გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე.

და ახლა, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ძმური შეკავშირება და მჭიდრო ურთიერთმოქმედება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალ აღმშენებლობითს ამოცანათა გადაწყვეტაში. ენგურის კასკადისა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე, არაშავმიწანიადაგიანი ზონისა და კოლხეთის ყამირის გატეხაში — ყველგან ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ საქართველოსა და რუსეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შვილები. საბჭოთა ხალხის ერთიანობა, მისი ერთობლივი შრომა, შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო — ეს არის ჩვენი საზოგადოების ძალა, მომავალ გამარჯვებათა საწინდარი.

ძალზე სწორად და გულთბილად თქვა თავის სიტყვაში ჩვენი ხალხების მეგობრობაზე, მის ცხოველმოქმედ ძალაზე დიდად პატივცემულმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ.

ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები მუდამ ერთგული იქნებიან ლენინის ანდერძისა — მაღლა ატარებენ ხალხთა მეგობრობის დროშას, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან (22 მაისი, 1981 წელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჯახი ასი ერისა

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.

დაბადების თარიღი: 1917 წლის 7 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შესვლის თარიღი: 1922 წლის 30 დეკემბერი.

ოჯახის წევრები: ასზე მეტი ეროვნება, რომლებიც ცხოვრობენ თექვსმეტ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხუთ ავტონომიურ ოლქში, ათ ავტონომიურ ოკრუგში, ექვს მხარეში, ორმოცდაცხრა ოლქში, ცხრაასოთხმოცდაჩვიდმეტ ქალაქში, ორიათას ოცდათოთხმეტ ქალაქის ტიპის დაბაში.

დედაქალაქი: მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს გული — მოსკოვი.

მოსახლეობის რაოდენობა: 138.400.000 კაცი.

ფართობი: 17.075.400 კვადრატული კილომეტრი (ამერიკის შეერთებულ შტატებზე 7.675.000 კვადრატული კილომეტრით მეტი!).

...დარიალის ჭიშკრიდან — ძმობისა და სიყვარულის ჭიშკრიდან გავდივართ. ქალაქ ორჯონიკიძესთან მისული საქართველოს სამხედრო გზა ულამაზეს ქუჩად გრძელდება. მას თბილისის ქუჩა ჰქვია. თბილისის ქუჩით შევდივართ რუსეთის უკიდეგანო ფედერაციაში.

თერგს ჩავდევთ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — რუსეთის ფედერაციის დიდი ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიწა-წყალზე.

ასზე მეტი წლის წინათ თავისუფლებისა და ხალხთა ძმობის მგზნებარე მომღერალი, ოსი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი მწუხარედ მოთქვამდა: „ვით შემოდგომის ღამეები, ვით კოშმარები, მძიმე ტაატით მიჰყვებიან წამები წამებს, არც სიყვარული, არც ღიმილი! რეკენ ზარები, მთელი ქვეყანა დაუფარავს წყვდიადს და ღამეს“. და მას გული იმასაც უგრძნობდა, რომ „მალე ინათებს“.

აღსრულდა პოეტის წინასწარმეტყველება.

რუსეთის ველზე გასული თერგი გზას აგრძელებს ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებში და იქ, დაღესტანში, კასპიის ზღვაში, ხვდება რუსეთის დედამდინარეს — ვოლგას. ხოლო ჩრდილოეთ ოსეთის დასავლეთით კავკასიონის მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე შეფენილან რუსეთის ფედერაციის წევრები — ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ადიღეს ავტონომიური ოლქები.

იაკუტური ლიტერატურის ფუძემდებელი ანემპოდისტ სოფრონოვი რევოლუციამდე დაწერილ ლექსში „სამშობლო“ წერდა: „ჩემი მშობელი დედა-ქვეყანა, ნამქერთა მთებით მკერდდაზვინული, წევს ღრმა დუმილით გარემოცული, როგორც ცხედარი თეთრ სუდარაში“...

და ახლა მოვუსმინოთ თანამედროვე იაკუტ პოეტს მოსე ეფიმოვს: „ჩვენ გვაქვს მამული მართლაც ზღაპრული, სიცოცხლის უკვდავ შუქით გამთბარი“.

1956 წელს გაიხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტი რესპუბლიკაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დაარსებამდე დაწყებითი სკოლაც კი არ არსებობდა. მის დედაქალაქ იაკუტსკში მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. განვითარდა იაკუტი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება.

ძმობის და შრომის, სიყვარულისა და სიცოცხლის, წინსვლისა და სიკეთის დიად ბასტიონად დგას ევროპის აღმოსავლეთ და აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე გადაჭიმული ფედერაცია — ასზე მეტი ერის მძლავრი ოჯახი, თავისი არქტიკული ზონით, ტუნდრებით, ტყეებით, ტყეტუნდრებით, უდაბნოებით, სტეპებით, უდიდესი მდინარეებითა და ტბებით; ქვეყანა ნავთობის, ბუნებრივი გაზის, რკინის მადნის, აპატიტების, კალიუმის მარილების, ფოსფორიტების, ფერადი, იშვიათი და ძვირფასი ლითონების, ალმასის და სხვა წიაღისეულის უმდიდრესი საბადოებით. რესპუბლიკის რკინიგზების სიგრძემ 1976 წელს მიაღწია 79.900 კილომეტრს, საავტომობილო გზატკეცილების სიგრძემ — 847 200 კილომეტრს, რუსეთის ტერიტორიაზე შენდება ბაიკალ-ამურის მაგისტრალი — ორმაგი მაგისტრალური რკინიგზის ხაზი აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, რომლის საერთო სიგრძეც 4.300 კილომეტრი იქნება. რუსეთის ფედერაცია — მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დიდია თავისი ტერიტორიით, მოსახლეობით, ეკონომიკური პოტენციალით.

გაგრძელება მე-8 გვერდზე



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინგრადის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა



ბამის ახალგაზრდა მშენებელი.

ნოვოსიბირსკელი სტუდენტები



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№5 (545) მაისი, 1982

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბალუა, უჩა ჯაფარიძე.




ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზის დაგება ბამზე

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი



პოეტი ევგენი ევტუშენკო.

საიანო—შუშინსკის ელსადგური. სამანქანო განყოფილებაში.



# მოსკოვის კედლებთან

**ლევან დოლიძე**

1941 წლის ოქტომბრის მრისხანე დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა აალაპარაკა ჭაბუკ პოდოლსკელ კურსანტთა გმირობამ. დასავლეთის ფრონტის მცირე მონაკვეთზე — რუსეთის ძველთაძველი ქალაქის მალოიაროსლავეცის მისადგომებთან საბჭოთა თავდაცვით ზღუდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები ვერას აკლებდნენ, რაც აცოფებდა „ცენტრის“ ჯგუფის არმიის სარდლობას.

...ორმოცდაერთის შემოდგომა მეტისმეტად წვიმიანი და ცივი დადგა.

მტერი დანაკარგებს არად აგდებდა და გაშმაგებით მიიწევდა მოსკოვისკენ. ჩვენს ჯარებს უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეექმნათ მალოიაროსლავეცის მიმართულებით. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, საჭირო იყო, შეეკავებინათ მოწინააღმდეგე მოჟაისკის თავდაცვის ხაზზე, მოეგოთ თუნდაც რამდენიმე დღე რეზერვის მოსვლამდე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გერმანელთა მე-12 არმიისა და 57-ე მოტოკორპუსის ნაწილები შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მტერი ვერაფერს აკლებდა დაცვის ზღუდეს, ვერას ხდებოდა ვერც ქვემეხთა მძლავრი ცეცხლით, ვერც საავიაციო დაბომბვით და ვერც სატანკო იერიშებით. გაშმაგებული მტერი განუწყვეტლივ უტევდა ქალაქის დამცველებს და კვლავ და კვლავ იძულებული ხდებოდა, უკან დაეხია...

ვინ იყვნენ ის ვაჟკაცები, მკერდით რომ აეფარნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს და ფაშისტი დამპყრობლები მოსკოვში არ შეუშვეს?

ვინ იყვნენ ისინი, რომლებსაც მე-3 სატანკო ჯგუფის მეთაურის გენერალ ერიხ ჰოპნერისადმი მოხსენებაში 57-ე მოტოკორპუსის მეთაური გენერალი ბლუმენტრიტი „თავგადადებულ წითელ იუნკერებს“ უწოდებს?

„წითელი იუნკრების“ — პოდოლსკის ქვეითი ჯარის სასწავლებლის კურსანტთა შორის იყვნენ მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი და ჯონდო ბესარიონის ძე ჯლამაძე; ისინი ახლა ნაყოფიერად შრომობენ თბილისში, თავიანთ მშობლიურ ქალაქში.

„ჯერ კიდევ ფრონტზე წასვლამდე, — გვიამბობენ ყოფილი პოდოლსკელი კურსანტები, — შევიტყვეთ, რომ 3 ოქტომბერს ფაშისტებმა ხელში ჩაიგდეს ორიოლი, უახლოვდებიან იუხნოვს და საფრთხე შეუქმნეს კალუგას. პოდოლსკელ კურსანტთა პირველი რაზმი უკვე 6 ოქტომბერს ჩაება ბრძოლაში მდინარე იზვერზე, ილინსკის საბრძოლო უბანთან“. ოქტომბრის პირველი ნახევრის დამლევს კურსანტებმა თავდაცვითი პოსტები დაიკავეს მალოიაროსლავეცის მისადგომებთან (მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 30-35 კილომეტრს შეადგენდა).

პოდოლსკის ქვეითი ჯარის სასწავლებელში გოგიჩაიშვილისა და ჯლამაძის გარდა სწავლობდნენ ჩვენი სხვა თანამემამულეებიც: შალვა (ბუტა) ჩიქვინიძე, გიორგი ცხვირავაშვილი, დიმიტრი აბაშიძე, სურენ გასპარიანი, თენგიზ ზაალიშვილი. ყველა ისინი დაცვის პირველ ეშელონში აღმოჩნდნენ. პირველსავე დღეს სასწავლო ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ლიტვინოვმა შეტევაზე გადმოსული მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის მოსაგერიებლად კონტრშეტევაზე წაიყვანა თავისი კურსანტები. ეს იყო 16 ოქტომბერს, როცა ჰიტლერელთა მოწინავე ნაწილები მალოიაროსლავეცისაკენ გაიჭრნენ და ბრძოლები გააჩაღეს მის გარეუბანში.

იმ დღეს კურსანტებმა მოწინააღმდეგის ორი შეტევა მოიგერიეს. საღამოს, ბრძოლის შემდეგ, სასწავლებლის კომისარმა შეკრიბა კურსანტები და მამაცობისათვის მათ გულითადი მადლობა გამოუცხადა. აქვე ითქვა, რომ იქმნება გამანადგურებელი ჯგუფი გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯგუფში მოხალისეებად შევიდნენ ბუტა ჩიქვინიძე, მიხეილ გოგიჩაიშვილი, ბონდო ჯლამაძე და ერთი კახელი ჭაბუკი, რომლის გვარის დადგენაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. სულ 12 კაცი შეარჩიეს. ბუტა ჩიქვინიძე მეთაურის მოადგილედ დანიშნეს. ეს ჯგუფი სასწავლებლის შტაბს ექვემდებარებოდა და ყველაზე საშიშ უბნებზე იგზავნებოდა ხოლმე.

კურსანტები მეორე ღამეს ათევდნენ თეთრად. ფაშისტები სულ ახალ-ახალ ძალებს აბამდნენ ბრძოლაში. როცა დარწმუნდნენ, რომ კურსანტთა დაცვის ხაზს ვერაფერს დააკლებდნენ, გადაწყვიტეს, მალოიაროსლავეცისკენ გაჭრილიყვნენ მცირე ჯგუფებად და ქალაქისათვის ფლანგებიდან მოევლოთ. მეორე დღეს, საარტილერიო მომზადების შემდეგ, რომელსაც „კატიუშების“ ზალპიც ახლდა, კურსანტებმა სოფელ ბერიოზოვკის მახლობლად მდებარე უსახელო მაღლობს შეუტიეს. მტერმა სეტყვასავით დააყარა ტყვია კურსანტებს. პოდოლსკელები მიწას გაეკვრნენ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ასეულის ზემდეგი, კომუნისტი კონსტანტინე კიტაევი წამოხტა და ჭაბუკებს შესძახა: „წითელო კურსანტებო! სამშობლოსათვის, სტალინისათვის, წინ!“ მან სულ რამდენიმე მეტრის გარბენა მოასწრო და ტყვიით განგმირული დაეცა. კურსანტებმა მაინც ჯიქურ შეუტიეს მტერს და ხელში ჩაიგდეს მაღლობი.

17 ოქტომბერს პოდოლსკელები უკვე ესესელთა დივიზიის პოლკისა და ტანკების იერიშებს იგერიებდნენ. ფაშისტებმა დიდი დანაკარგის ფასად მაინც შეძლეს სოფელ ხავინოვოსკენ გაჭრილიყვნენ.

„კურსანტთა ჯგუფი, — იხსენებს გოგიჩაიშვილი, — ერთ-ერთ სახლში გამაგრდა. მტერი ცდილობდა, დაეტყვევებინა ისინი, მაგრამ — ამაოდ. მაშინ ფაშისტებმა ცეცხლს მისცეს სახლი. გმირები არც ალმოდებული სახლიდან ეპუებოდნენ მტერს და ტყვეობას სიკვდილი ამჯობინეს.

18 ოქტომბერს, დილით, მტრის ოცი ტანკი მაინც შეიჭრა მალოიაროსლავეცში, ხოლო მე-12 არმიის კორპუსის შენაერთები მდინარე პროტვასთან მალოიაროსლავეცის აღმოსავლეთით გავიდნენ. კურსანტთა რაზმმა ბრძანება მიიღო, წვიმით ატალახებული ტყით დაეწყო უკან დახევა ახალ მიჯნაზე. მოულოდნელად მათ გზა გადაუღობეს ფაშისტებმა. კურსანტები მყისვე ეკვეთნენ მტერს და იგი უკუაგდეს.

განუწყვეტელი ბრძოლებით, შეტევებით, უძილო ღამეებით ქანცგაცლილი პოდოლსკელი კურსანტები 43-ე არმიის ჯარებს შეუერთდნენ და მდინარე ნარას გაღმა გავიდნენ. ამის შემდეგ კურსანტები, რომელთა შორისაც გოგიჩაიშვილი და ჯლამაძეც იყვნენ, უკან დააბრუნეს სამხედრო სასწავლებელში. 1942 წლის მარტში მათ ლეიტენანტის წოდება მიენიჭათ და მოქმედ არმიაში გაგზავნეს.

სამი ათას პოდოლსკელ კურსანტთაგან ორი ათასზე მეტი დაიღუპა იუხნოვთან. მედინთან, მალოიაროსლავეცთან, ილინსკთან, დეტჩინოსთან... ყველა მათ — ცოცხლებმაც და დაღუპულებმაც შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული ფიცი!

მიხეილ გოგიჩაიშვილი ივანოვოს სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გმირულად იბრძოდა კალინინის ფრონტზე. შემდეგ მძიმედ დაიჭრა და სამხედრო იუსტიციის ორგანოებში გაამწესეს, იყო ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის სამხედრო კომისარი. ამჟამად იგი პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზეა.

ჯონდო ჯლამაძე მძიმედ დაიჭრა ბორისოვთან და გონწასული ფაშისტებმა დაატყვევეს, მაგრამ მეთორმეტე დღეს იგი გაიქცა. შემდეგ იბრძოდა ბელორუსიაში, პარტიზანულ რაზმში — „მამულისათვის“, რომელსაც კადრის ოფიცერი ვლადიმერ ზახაროვი მეთაურობდა. მინსკის განთავისუფლების შემდეგ ჯ. ჯლამაძე მუშაობდა ბელორუსიის შინსახკომში, ომის დამთავრების შემდეგ კი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამჟამად იგი თბილისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბში მუშაობს.

ბედნიერი შემთხვევა დამეხმარა, მიმეგნო ყოფილი პოდოლსკელი კურსანტების ლეგენდარული ახალგაზრდობის ამ ფურცლისათვის და კიდევ ერთხელ მიმეგო პატივი ჩვენი უფროსი ამხანაგებისათვის, რომლებმაც თავი ისახელეს მოსკოვის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებში.

პოდოლსკი-თბილისი.

# ჩვენი მეგზური და მეგობარი

გრიგოლ აბაშიძე,
სოციალისტური შრომის გმირი.

გაზეთი „პრავდა“ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების მატიანეა. მის ფურცლებზე აისახა ჩვენი ხალხის გმირული შრომა და ბრძოლა.

„პრავდა“ შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკისადმი და ეს ყურადღება მას არც საბჭოთა საქართველოსათვის დაუკლია.

იგი მხარს უჭერდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას, ფართო პროპაგანდას უწევდა მის მიღწევებსა და წარმატებას, მაგრამ არც რესპუბლიკის ნაკლსა და წარუმატებლობაზე ხუჭავდა თვალს, პირუთვნელი კრიტიკით, საქმიანი რჩევით გვეხმარებოდა მათ აღმოფხვრასა და გამოსწორებაში.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისათვის „პრავდა“ მუდამ კეთილი მეგზური იყო, მის წინსვლასა და დავაჟკაცებაში აქტიურად მონაწილეობდა.

საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას არ შეუქმნია არცერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელსაც „პრავდა“ არ გამოხმაურებოდეს, რომელზედაც მას თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას.

მეც, როგორც „პრავდის“ სტაჟიან ავტორს, არაერთხელ მიგრძვნია მისი წამახალისებელი მხარდაჭერა და გამხნევება.

ვუსურვოთ „პრავდას“ კვლავაც მაღლა სჭეროდეს საბჭოთა პრესის ფლაგმანის დროშა, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმობის უძლეველი დროშა!

## საკუთარი კორესპონდენტი

ოცდაცხრა წელია, გაზეთ „პრავდის“ საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში მუშაობს ჟურნალისტი და მწერალი გიორგი ლებანიძე. იგი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1981 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია — „ხუთწლედის მატიანე“.

აქტიურ პრავდისტს, გიორგი ლებანიძეს, რომელიც რესპუბლიკის მშრომელთა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, არაერთხელ მიუღია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მაღალი ჯილდოები.

„პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი დიდი შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდა საბჭოთა პრესის ფლაგმანის ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს.

იგი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. დაწვრილებით ეცნობა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საქმიანობას და შემდეგ გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე ქვეყანას ამცნობს ქართველი ხალხის გმირულ შემოქმედებით შრომას, იმ დიდ აღმავლობას, რაც ასე მძლავრად იგრძნობა საქართველოში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ არაერთხელ აღნიშნა ჟურნალისტ გიორგი ლებანიძის ნაყოფიერი მოღვაწეობა, რასაც იგი ეწევა მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი გიორგი ლებანიძე (მარჯვნივ) ესაუბრება პარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივან ოთარ თენეიშვილს და „პრავდის“ სპეციალურ კორესპონდენტ ოლეგ სტეპანენკოს.





# საბჭოთა პრესის დღესასწაული

## „პრავდა“ იბეჭდება თბილისშიც

საბჭოთა პრესის ფლაგმანს — გაზეთ „პრავდას“ 70 წელი შეუსრულდა. იგი იყო, არის და მუდამ იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საიმედო დასაყრდენი და ტრიბუნი, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში პარტიის ერთგული დამხმარე და ორგანიზატორი.

„პრავდის“ (საშუალო ტირაჟი 10 მილიონ 700 ათასი) და სხვა ცენტრალური გაზეთების ტირაჟების ზრდამ და ოპერატიულ საგაზეთო ინფორმაციაზე გადიდებულმა მოთხოვნებმა გამოიწვია საგაზეთო წარმოების განვითარების პრინციპულად ახალი გზების ძიება, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანია გაზეთების ადგილობრივ პოლიგრაფიულ საწარმოებში ბეჭდვა.

„პრავდა“ ამ წესით საბჭოთა კავშირის 53 ქალაქში იბეჭდება, რასაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა დიდი ეკონომიკური უპირატესობაც აქვს.

თბილისში „პრავდა“ 1947 წლიდან იბეჭდება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში 1978 წლამდე მოსკოვიდან თვითმფრინავით გზავნიდნენ მუყაოს მატრიცებს, საიდანაც ჩამოისხმებოდა სტერეოტიპები და იბეჭდებოდა ტირაჟი. ზოგ შემთხვევაში გაზეთის გამოსვლის გრაფიკი, არასაფრენი ამინდის გამო, ირღვეოდა. 1978 წლიდან „პრავდა“ ფოტოტელეგრაფით გადმოიცემა და ახალი ოფსეტური ბეჭდვის წესით იბეჭდება. გაზეთის გამოშვების ვადა თითქმის 5-6 საათით შემცირდა და იგი ყოველთვის დაუგვიანებლად, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოდის (ტირაჟი 117 ათასი ეგზემპლარი).

ჩვენი გამომცემლობის კოლექტივმა სიამაყის გრძნობით აღნიშნა ლენინური „პრავდის“ დიდი იუბილე. ამ დღეს, 5 მაისს, ყველა ცენტრალური გაზეთი და მათ შორის „პრავდაც“ ეკონომიის ქაღალდზე დაიბეჭდა.

გურამ გორდულაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი.




# ლენინის ორდენი-თბილისს!

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქი თბილისი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1982 წლის 27 აპრილი.

## ვულოცავ ჩემს ქალაქს

თბილისელი კაცი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს იგი, ერთი წუთით, ერთი წამითაც კი არ უნდა ივიწყებდეს, რომ თბილისშია დაბადებული. ყველა ჩვენგანს ვალად აწევს იყოს პატიოსანი, გულისხმიერი, საქმისათვის თავდადებული ადამიანი. მეც ხომ თბილისის წარმომადგენელი ვარ, მისი სიცოცხლის ნაწილი, ჩემი ცხოვრების ფესვები მისი მაცოცხლებელი წვენით საზრდოობს. მუდამ ვალში ვარ ჩემი ქალაქის წინაშე და ყველაფერს ვაკეთებ, როგორმე გადავიხადო ეს ვალი.

ვულოცავ სახელოვან თბილის ქალაქს საპატიო ჯილდოს. ამ ჯილდოს ჩემს თავსაც ვულოცავ; დაე, მაპატიოს ასეთი კადნიერება ჩემმა ქალაქმა. ეს ჯილდო ბევრ რამეს გვავალებს, მაგრამ თბილისი მიჩვეულია რთული ამოცანების გადაწყვეტას, ეჭვი არ არის, იგი კვლავაც სახელოვნად შეასრულებს პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებას.

ვლადიმერ ბურაკოვსკი,
ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.

# ლენინური პრემიის ლაურეატს ოთარ თაქთაქიშვილს

... ერთხელ კიდევ გულითადად, ძმურად გილოცავთ თქვენი შემოქმედების ღირსეულ დაფასებას, კვლავაც მრავალჯერ გაეხარებინოს ჩვენი ხალხი თქვენი ნიჭის გამობრწყინებას.

**ედუარდ შევარდნაძე.**

* * *

მოსკოვიდან

პატივცემულო ოთარ ვასილის ძევ! გულითადად გილოცავთ თქვენი ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენას, ლენინური პრემიის მონიჭებას. თქვენი ნიჭიერი, ღრმადეროვნული საოპერო და სიმფონიური შემოქმედება საბჭოთა მუსიკას ამდიდრებს შესანიშნავი ნაწარმოებებით, რომლებიც მუდმივად სარგებლობენ მსმენელთა ფართო მასების აღიარებითა და სიყვარულით, შთაგონებულად ამკვიდრებენ ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეებს.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ოთარ ვასილის ძევ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს, თქვენი ყველა შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებაში.

**პეტრე დემიჩევი,**

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი.

* * *

ერევნიდან

დიდად პატივცემულო ოთარ ვასილის ძევ! დიდი კმაყოფილებითა და სიხარულით აღვიქვი ცნობა თქვენთვის ლენინური პრემიის მონიჭების შესახებ. გულითადად, გულწრფელად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ კომპოზიტორს დიდ მხატვარსა და მოქალაქეს ამ მაღალსა და დამსახურებულ ჯილდოს. თქვენმა მკაფიო, თვითმყოფადმა შემოქმედებამ, რომელიც მშობლიური ეროვნული კულტურის ფესვებით საზრდოობს, დაიპყრო მილიონთა გულები. თქვენი შემოქმედება ძვირფასი და ახლობელია სომეხი ხალხისთვის — ქართველი ხალხის ახლობელი და სულიერი ძმისათვის და დღეს თქვენი ბრწყინვალე ნიჭის უთვალავი თაყვანისმცემელი სომხეთიდან გიგზავნით უმხურვალეს მოლოცვას. სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ოთარ ვასილის ძევ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დაუშრეტელ ენერგიას, ახალ და ახალ შემოქმედებით წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალეროვანი კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ღრმა პატივისცემით

**კარენ დემირჭიანი,**

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

* * *

მოსკოვიდან.

ძვირფასო ოთარ ვასილის ძევ! სულითა და გულით გილოცავთ ლენინურ პრემიას, რომელიც მოგენიჭათ თქვენი ნათელი, ამაღელვებელი მუსიკისათვის.

გისურვებთ ახალ, დიდ შემოქმედებით წარმატებებს, თქვენი შესანიშნავი ნიჭის შემდგომ გაფურჩქვნას, ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას, მაგრად გეხვევით.

**მიხეილ გიორგაძე.**

* * *

გილოცავთ თქვენ, ქართული კულტურის მაღალი ტრადიციების გამგრძელებელს და მომავალი საუკუნის მუსიკაში გზის გამკაფავს. ჩვენი სიყვარული და აღტაცება.

**ირაკლი ანდრონიკოვი,**

ლენინური პრემიის ლაურეატი.



სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნო მხურვალედ გილოცავთ თქვენი შემოქმედებითი შრომის მაღალ შეფასებას — ლენინური პრემიის მონიჭებას.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

**ხრენიკოვი, კაბალევსკი, კარაევი, კელდიში, პახმუტოვა, პეიკო, სვეტლანოვი, ტერენტიევი, ხოლმინოვი, ფლიარკოვსკი, შჩედრინი, ჩაიკოვსკი, ეშპაი, პანჩენკო.**

* * *

გულითადად გილოცავთ ლენინურ პრემიას, რომელიც მოგენიჭათ თქვენი შესანიშნავი შემოქმედებისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას, შთაგონებას, მრავალ ნათელ სიხარულს.

**რასულ გამზატოვი,**

მწერალი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

* * *

რა სასიამოვნოა, როდესაც სამართლიანად ფასდება შემოქმედის შრომა. გილოცავთ, გკოცნით —

**სესილია თაყაიშვილი.**

* * *

„დროშას" საშუალება არა აქვს, თავის მკითხველებს გააცნოს ის უთვალავი მილოცვა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა რომ მიიღო მისთვის ლენინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მილოცვებში გამოხატულია გულწრფელი სიხარული, რაც გამოიწვია ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, დიდი შემოქმედისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის შემოქმედების ახალმა, საყოველთაო აღიარებამ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დაბალ დონეზე იდგა რევოლუციამდელი რუსეთის და კერძოდ მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების კულტურის და განათლების საქმე. რუსეთის ფედერაციაში შემავალი თითქმის ყველა ეროვნების დამწერლობას ხომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაედო სათავე. ახლა ყველა ხალხის ყველა ენაზე გამოდის ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, იდგმება სპექტაკლები და ოპერები. საერთო განათლებას იღებენ მშობლიურ ენაზე. მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს რუსეთის ფედერაციის ხალხთა დიდი ლიტერატურით. საყოველთაოდ ცნობილია სახელები გამოჩენილი საბჭოთა მწერლებისა — დაღესტნელი რასულ გამზატოვისა და ბაშკირ მუსთაი ქარიმისა, ყალმუხი დავით კუგულტინოვისა და ჩუვაში პეტერ ხუზანგაისა, ბალყარელი ყაისინ ყულიევისა და თათარი მუსა ჯალილისა, ყაბარდოელი ალიმ კეშოკოვისა და ჩეჩენი რაისა ახმატოვასი.

რუსეთის საძმო ფედერაციაში შემავალ ხალხებს სათავეში უდგას დიდი რუსი ხალხი — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშიშარი მედროშე, კაცობრიობის ისტორიის ახალი ერის ფუძისდამდები. რუსი ხალხის უბადლო ვაჟკაცობა, ყველაზე პროგრესული იდეალებისა და სამშობლოს სიყვარულის ერთგულება, მისი სულის სიძლიერე და ხასიათის სიმტკიცე ერთხელ კიდევ გამობრწყინდა დიდი სამამულო ომის წლებში. მის ლეგენდარულ გმირობაზე ღაღადებენ მოსკოვი და ლენინგრადი, სტალინგრადი და ნოვოროსიისკი — გმირი ქალაქები, რომელთა დამცველებმაც უკვდავების შარავანდედით შემოსეს მთელი საბჭოთა ხალხის სახელი.

რუსი ხალხის მიმართ მადლიერებითა და პატივისცემით არის განმსჭვალული მთელი პროგრესული კაცობრიობა, რომელსაც რუსმა ხალხმა მისცა მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი.

რუსმა ხალხმა თავისი კლასიკური ლიტერატურით გაამდიდრა მსოფლიო ლიტერატურის საგანძური. დედამიწის ყველა კუთხეში კითხულობენ რუსი საბჭოთა მწერლების მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინის, ნიკოლოზ ოსტროვსკის, ალექსანდრე ფადეევის, ნიკოლოზ ტიხონოვის, მიხეილ შოლოხოვის, კონსტანტინე ფედინის და სხვათა ნაწარმოებებს და არა მარტო კითხულობენ, მათგან სწავლობენ ცხოვრებას და ბრძოლას.

რუს ხალხს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს საკაცობრიო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ოცდაათი წლის წინათ თვალშეუდგამ კოსმიურ სივრცეში მსოფლიოს ისტორიაში პირველმა რუსმა კაცმა გაავლო კვალი. კაცობრიობის ისტორიაში ოქროს ასოებით რუსული გვარით აღიბეჭდა ბევრი პირველაღმომჩენი და პირველი გზისგამკვლევი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იხსენიება რუსული მხატვრობის, მუსიკის, თეატრის, კინოს, მდიდარი ხალხური შემოქმედების შედევრები. რუს ადამიანებს ხელთუქმნელ ძეგლებად აღუმართავთ ახალი ქალაქები, სამრეწველო გიგანტები, ჰიდრო და ატომური ელექტროსადგურები...

მტკიცდება და ვითარდება დიდი ლენინის მიერ, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ მკვიდრად ფუძეჩაყრილი ძმობა და მეგობრობა საბჭოთა ხალხებისა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა, რომლებიც თავიანთი დიდი კავშირის სამოცწლეულს ზეიმობენ. ამ ძმობისა და სიყვარულის ბურჯი, მისი ნათელი და გულმართალი მედროშეა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.


გაყავთ მაღალი ძაბვის ელექტროხაზები ციმბირში.

# ოჯახი ასი ერისა

სსრკ 60

დასასრული

მოსკოვის ჩერტანოვის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში.



# უკვდავი ძმობა

## ილია ჭავჭავაძე

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ...

თითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თითოეულს ჩვენგანს მის გამონაკვებზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონაკვების მიხედვით გამოურჩევია.

## აკაკი წერეთელი

...ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

## იაკობ გოგებაშვილი

...ძმობა ქართველებსა და სომხებს შორის და უმჭიდროესი ერთიანობა რუსეთთან — აი ორკეცი დევიზი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან, და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთერთ მადლიან კუთხედ და ბრწყინვალე მომავალს შეუქმნის მას.

...ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც ერთი რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედაენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებისაგან, დიდი ხანია, რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება.

დიდ რუს ხალხთან მჭიდრო დაახლოება აზიარებს მას სხვა, უკეთეს, უფრო ფართო და უფრო ნათელ ცხოვრებას და გადაუშლის დიად მომავალს. ყველასათვის ცნობილია და ყველას თვალში ეცემა ის ფაქტი, რომ რაც უფრო განათლებულია ესა თუ ის კავკასიელი ხალხი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული რუსეთთან.

...ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე.



# ეს დალოცვილი კაკლის ხე

დუშეთის რაიონის ახალგაზრდობისა და კომკავშირელების აქტივის შეკრება. 1982 წლის 16 აპრილი...

პოემა საქართველოს ხვალინდელ დღეზე, ასე უნდა ეწოდოს იმ შთაგონებულ სიტყვას, რითაც შეკრების მონაწილეებს მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

ჩვენი ახალგაზრდობის დიდმა მეგობარმა მხურვალედ დაუჭირა მხარი დუშელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ნაფიქრნააზრევს:

— შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეთ თქვენ, დუშეთის რაიონის ახალგაზრდებმა, როცა გადაწყვიტეთ, გააშენოთ 40 ათასი ძირი კაკლის ხე! რაიონის ყოველ მოსახლეზე თითო ხე! ეს ამ ხუთწლედში. მომავალ ხუთწლედში, ალბათ, მეტს გააკეთებთ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დუშელთა ამ პატრიოტულ წამოწყებას შეუერთდება საქართველოს ყველა რაიონის, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობა. ვიმეორებ, ეს დიდი საშვილიშვილო საქმეა!

...დაე, 80-იანი წლების ახალგაზრდობამ თავის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაწეროს, რომ აღადგინა და გაამრავლა ეს ეროვნული ხე, ეს წმინდა ხე — კაკლის ხე, დაამშვენა და გაამდიდრა მშობლიური რესპუბლიკა“.

დიახ, ეს დიდი საშვილიშვილო საქმეა! ძვირფასია ზრუნვა და შრომა, რომლის კეთილ ნაყოფსაც შვილიშვილები მოესწრებიან!

მშვენიერი საქმეა, დარგო და ახარო ეს ეროვნული, წმინდა ხე, რომელიც ხუთ საუკუნეს იშრიალებს და გამოისხამს ნაყოფს შთამომავალთა გასახარად!

დუშელთა პატრიოტული მოწოდება გულისმიერი ძახილია დღევანდელი ახალგაზრდობის — ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილის, ვისაც დასტურ უყვარს მშობლიური მიწა, ჩვენი ცხრაგზის წითელდროშოვანი რესპუბლიკა, ყველა იმისი, ვინც კი სამართლიანად ატარებს ერისკაცისა და მამულიშვილის სახელს!

ბუნებრივია, ჟურნალი „დროშაც“ ჯეროვან ადგილს დაუთმობს ამ პატრიოტულ წამოწყებას, კაკლის ხის დარგვის პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლის გასაშუქებლად ჩვენი რედაქციის შემოქმედებითი მივლინებებით გაემგზავრებიან მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, ფოტოკორესპონდენტები.

გარდა ამისა, დიდი მადლობის გრძნობით მივიღებთ მკითხველთა წერილებს, რომლებიც გაგვაცნობენ ამ საქმის ენთუზიასტებს.

ვადიდოთ ეს დალოცვილი კაკლის ხე, ძვირფასო მეგობრებო!



# ელენა ობრაზცოვა

**ანტონ წულუკიძე**

ელენა ობრაზცოვას ხელოვნების უპირველესი სამკვიდრო სსრ კავშირის დიდი თეატრია, მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრების დინამიკა იმდენად ბობოქარია, რომ ამ საოცარი მომღერლის უშუალო ხილვა თუნდაც მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მაყურებლისათვის იღბლიან შემთხვევას მიეკუთვნება! ისევ ყოვლისშემძლე ტელევიზორი გვაძლევს საშუალებას, თვალი მივადევნოთ ობრაზცოვას შემოქმედებითი ენერგიის მძლავრ „აფეთქებებს“ ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში.

დიახ, ელენა ობრაზცოვას ხელოვნება ჩვენი დროის საოპერო თეატრისა და საკონცერტო ცხოვრების საოცრებებს განეკუთვნება. მსმენელ-მაყურებელთა სრული დაპყრობის მომნუსხველი „ჯადო“ მეგზურად თან სდევს ყოველ მის გამოჩენას. ყოველი მისი გამოსვლა, საოპერო წარმოდგენასა თუ თავისი საკონცერტო პროგრამით, ანდა ნებისმიერ „შერეულ“ საღამოზე თუნდაც ერთი საკონცერტო „ნომრით“ — დიდი ხელოვნების დღესასწაულად ქცეულა.

მოვიგონოთ ტელევიზიით არაერთგზის გადაცემული „ლა სკალას“ თეატრის ახალი დადგმა „დონ-კარლოსი“, რომლის პრემიერაში მონაწილეობით რუსი მომღერალი ქალი ვერდის სამშობლოშივე გაეპაექრა დღევანდელი დღის ყველაზე თვალსაჩინო იტალიელ მომღერლებს და ელვარებითა და შმაგი ტემპერამენტით განასახიერა პრინცესა ებოლის როლი. თვალისმომჭრელია კონტრასტები: ერთი მხრივ ებოლის შინაგანი ტკივილები, დრამატიზმი, მეორე მხრივ — ეშხიანი „სიმღერა ტურფაზე“, რომლის გრაციოზული სიმსუბუქე ობრაზცოვას — ებოლის, სეფექალთა შემოერთებისას რაღაც დაუოკებელი ფეიერვერკულობით გადაჰყავს ექსტაზურ ყივილ-ყიჟინაში (რა თქმა უნდა, სიმღერით)! ანდა ამის სრული კონტრასტი (გრაფინია „პიკის ქალში“) დიდი თეატრის სპექტაკლში. შემზარავად მოქუფრული გრაფინია (ტრადიციისამებრ) მარტოდ დარჩენისას ნეტარ მოგონებას მისცემია; აქ ობრაზცოვას გრაფინია გრეტრის რომანსის ამღერებისას ლამობს შეყვარებულის გამქრალი ეშხი მისცეს სიმღერას, „ააკეკლუცებს“ ჰანგს და, თავის მხრივ, მხრების მიხვრა-მოხვრასააყოლებს მას! ამ მოულოდნელი გადაწყვეტილებისათვის დიდი არტისტული გამბედაობა იყო საჭირო!

ამგვარი გამბედაობის ძალა სწორედ რუს საბჭოთა მომღერალ ქალს — ელენა ობრაზცოვას გააჩნია და არა მარტოოდენ რუსულ რეპერტუარში, ისეთ პარტიებშიც, რომელთა უთვალავი ბრწყინვალე შემსრულებელი უხილავს მსოფლიო საოპერო სამყაროს. კარმენი! უკვე გაბედულებაა ობრაზცოვა — კარმენის პირველივე შემოჭრა — ფეხშიშველა! ამ „ნატურალურ“ სცენაში მარტოოდენ სხეულის სილამაზისა და პლასტიკის დემონსტრაცია როდია! თუმცა, მართლაც პლასტიკის სრული მომხიბვლელობით იყენებს ობრაზცოვა ამ ხერხსაც და ასე ატარებს „ხაბანერას“ სცენას. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მის ამ გალაღებაში მრავალი რამ ბუდობს: სწორედ ამ ანც გოგოს ძალუძს მხურვალე გულის გაღებითაც გააბედნიეროს ნებისმიერი შეყვარებული და ნებისმიერი გულიც დაიპყროს... უკვე შემდეგ მოქმედებაში მისი კარმენი თვალისმომჭრელი ბრწყინვალებითაა აღჭურვილი. ამგვარი ნახტომებითა და სიურპრიზებით უხვია ობრაზცოვას სცენური ქმნილებანი. ყველა ამასთან ძლიერი რუსი ქალების — ლიუბაშასა და მარფას ტრაგიკული სიდიადით აღვსილი მონუმენტური ხატებანი რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლესა“ და მუსორგსკის „ხოვანშჩინაში“... მათი შესრულების ფუნდამენტურ ტრადიციებს ობრაზცოვა ყოველთვის თავისას მატებს ხოლმე. ობრაზცოვა მუდამ ორიგინალურად აღიქვამს მუსიკის სტიქიონს და მასთან შეხმაში ყოველთვის დიდი სითამამეა ჩართული.

შალიაპინის ხელოვნება ჩვენი საუკუნის მომღერალ-საოცრებათა თანავარსკვლავედში, თავისი განსაკუთრებულობითაა გამორჩეული. ეს განსაკუთრებულობა გახლავთ მხატვრულ-ფსიქოლოგიური გარდასახვების დიდი დიაპაზონი და ამპლიტუდები, სულიერ სიღრმეებში ჩაძირვა და სულიერი აფეთქებანი, ინტონირების უსასრულოდ ნაირგვარი გამოსხივებანი. შალიაპინის ჩანაწერები, საბედნიეროდ, უხვია და მათში დრამატული, ტრაგიკული თუ სატირული გარდასახვანი იმასაც გვაგრძნობინებს, რომ მისი ვოკალური ხელოვნების მაგია წარმოუდგენელია მისივე ტოლძალოვან სასცენო ხელოვნებასთან სინქრონულობის გარეშე!

„მანდილიანი შალიაპინის“ შეგრძნებას აღძრავს დღეს ჩვენში ელენა ობრაზცოვას ხელოვნება! ამ შემთხვევაში კი ჩვენ სასიმღერო და სასცენო ხელოვნების სრული სინქრონულობის მოწმენი ვართ. დიახ, მკვეთრი და მძლავრია ობრაზცოვას ხელოვნებაში გარდასახვის ამპლიტუდები. ეს თვალნათლივ ჩანს მუსიკალური ხატის წარმოჩენაშიც, ტემბრულ ჟღერადობაშიც, როგორც ვოკალისტი, იგი ფრაზის შინაარსობლივ სახიერებას მისდევს და არა ხმის გამოცემის სილამაზეს, თუმცა ამ სილამაზის ჰარმონიული გამოსხივების უნარით ობრაზცოვა ბუნების მიერ უხვადაა დაჯილდოებული, მისი სიმღერისათვის დამახასიათებელია ფერების სიუხვე და მოულოდნელობა, ტემბრის მკვეთრი, ფსიქოლოგიური ცვალებადობა. ყველა ამასთან ერთად მისი ოსტატობა იმ სიმაღლეს აღწევს, როდესაც ბობოქარი ვნებებიც კი ფილიგრანული დახვეწილობით არის გამოსახული და მაღალი აკადემიზმით აღბეჭდილი. უმძაფრეს დრამატულ მომენტებში ობრაზცოვა თავის ხმის ძალას ზუსტი „შინაგანი მოზოგვით“ ჩართავს ხოლმე და ამის ეფექტიც უტყუარია.

ელენა ობრაზცოვას არტისტიზმი მუსიკალური ბგერის გამომსახველობისა და სხეულის პლასტიკის განუყოფელი ჰარმონიაა. ამ ჰარმონიის ყოველი ელემენტი, დეტალი — შემოქმედი ინდივიდის ცოცხალი ნერვის ფეთქვაა და მთლიანი მხატვრული პროცესის მჩქეფარე მონაწილე. ამგვარი მჩქეფარე დეტალებით ობრაზცოვას ვოკალურ-სცენური სინქრონულობის ფრიად ორიგინალური პარტიტურაა აწყობილი. ამის ნიმუში თბილისის საზოგადოებრიობამ უშუალოდ „აიდაში“ იხილა, — ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის ჯერჯერობით ერთადერთ სპექტაკლში, ობრაზცოვა რომ გამოვიდა. მრავალი ამნერისი — ელვარე და ურთიერთგანსხვავებული, უნახავს თბილისის საოპერო სცენას და ჭეშმარიტი სიხარულიც მოუტანია ოპერის მოყვარულთათვის, მოუხიბლავს მაღალი ხელოვნებითა და ამ მძლავრ ვნებათაღელვის, დედოფლური ამპარტავნობისა თუ სიყვარულით ტანჯვის განსახიერებით რაც ესოდენ არსებითია ვერდის ამ გმირი ქალისათვის. მეტად მადლიანია ეს პარტია მომღერალთათვის ხელოვნების მდიდარი პალიტრისა და ოსტატობის გამოსამჟღავნებლად. რითაა გამორჩეული ელენა ობრაზცოვას ამნერისი? სულიერი და ფიზიკური მოქმედების საოცარი ჰარმონიულობით, რომელიც ნაირგვარი გამოვლინების მუდამ მშვენივრ ჯაჭვზეა გაბმული. მომხიბვლელი სინატიფითა და ფერთა ცვალებადობითაა აღბეჭდილი ობრაზცოვას ამნერისი სეფექალებთან და აიდასთან სცენებში (მეორე აქტის პირველი სურათი), სადაც მისი სიმღერა დიდი გრაციით გადმოსცემს ხან განცხრომით კმაყოფილებას (ამას თან ახლავს პლასტიკურ მოძრაობათა მთელი გამა), ხან კიდევ ქედმაღალი დედოფლის ელვამოსილ ამპარტავნებასა და მრისხანებას...

დღეს მუსიკალურ სამყაროში საკმაოდ არიან ისეთი მომღერლები, რომლებმაც დიდი სენსაციები გამოიწვიეს ხმის უჩვეულო დიაპაზონისა და ტემბრული ტრანსფორმაციის დემონსტრირებით (სადაც არც თუ იშვიათად ქალისა და მამაკაცის ხმის ფარგლებიცაა გადალახული და შერეული). მათი უნარი ზოგჯერ ჟონგლიორობამდის მიდის! ამგვარი მომღერლები ასრულებენ როგორც მსუბუქ, ასევე აკადემიურ მუსიკას (განსაკუთრებით ახალი მიმართულებების რთულ ტექნიკურ ნოვაციებს).

ელენა ობრაზცოვას უთვალავი გარდასახვების ძირი — მუსიკის სულიერ სიღრმეებშია, მის ხატობრივ, ფსიქოლოგიურ სამყაროში. მარტოოდენ ამას ექვემდებარება მისი ტემბრის სილამაზეც, სახიერებაც (ღია თუ დახურული ბგერისა იქნება იგი), ვირტუოზულობაც. აქვე გვაგონდება მის მიერ შესრულებული გ. სვირიდოვის „რუსული სიმღერა“ („მდინარესთან, მის ნაპირზე“ — ხალხურ ლექსზე). რომელსაც ობრაზცოვა მღერის კოლორიტული სილაღითა და სევდით, ემოციების ფერისცვალებით.

თანამედროვე უახლესი მუსიკიდან სწორედ გიორგი სვირიდოვის შემოქმედებამ დაიკავა უპირველესი ადგილი ელენა ობრაზცოვას ხელოვნებაში. თბილისში ამასწინათ გამართული ერთ-ერთი კონცერტი მთლიანად მიეძღვნა ამ შესანიშნავი რუსი საბჭოთა კომპოზიტორის თვითმყოფად ეროვნულ შემოქმედებას, უმთავრესად — ა. ბლოკის ლექსებზე დაწერილ ციკლებს. გ. სვირიდოვის მუსიკის მონუმენტური სისადავე, მისი მძლავრი ეროვნული ფესვები, ისევე, როგორც რუსული კლასიკური ოპერისა, ობრაზცოვას ხელოვნების ღრმა სულიერი საზრდოა.

უხვია და ნაირგვაროვანი ე. ობრაზცოვას რეპერტუარი — საოპერო თუ კამერული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში მთელ მის საკონცერტო მარშრუტებში — ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში, ე. ობრაზცოვას უცვლელი კონცერტმეისტერია მაღალნიჭიერი პიანისტი ვაჟა ჩაჩავა. ობრაზცოვას ეს არჩევანი, როგორც ჩანს, კანონზომიერია.

შემოქმედებითი ენერგიის თავდაუზოგველი გაღებით, უშრეტი შთაგონებითა და განცდით მღერის ელენა ობრაზცოვა დიდსა თუ მცირე ქმნილებას. ყოველ შესრულებაში კი მისი პიროვნებაა ჩაქსოვილი — მუდამ მგზნებარე და უკომპრომისო.

## მარტვილის ესკიზები

ნარკვევი

**ჯემალ ქირია**

დიდი წვიმიანობა იყო დასავლეთში. მდინარეები აიფოფრა, ნაპირები გადმოლახა, ბევრი რაიონი დაზარალდა. ნლევანდელმა თოვლიანმა, ხანგრძლივმა ზამთარმა ერთხელ კიდევ მოიქნია კუდი, ერთხელაც შეგვახსენა თავისი მრისხანე ძალა, მაგრამ ეს მაინც ბოლო ომი იყო... ცამ ღრუბლები გადაიყარა და ახლა მცხუნვარე მზე შორით შორამდე მსჭვალავდა ჰაერს.

მარტვილის სამონასტრო კომპლექსი დაბის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოჩანს. კონუსისებური გორაკის თავზე წამომართულა დიდებულად და საიდანაც შეხედავ, თვალი ზედ შეგრჩება. უცხო სტუმარი პირველად მას დაინახავს, მერე ნებით თუ უნებლიეთ ცის ფონზე გამოკვეთილი პანორამა მუდამ თვალწინ უდგას და არა მგონია, ეს ხატი ოდესმე წარიშალოს მისი მეხსიერებიდან.

მარტვილის მონასტრის ეზოდან კი თითქმის მთელი გეგეჭკორის რაიონი და მომიჯნავე რაიონების სანახები იშლება... ჯემალ გიგიბერიამ, რაიონის მთავარმა არქიტექტორმა, ცის ნისლოვანი კიდისაკენ მიმახედა. ბურუსში ქუთაისის შემოგარენი ისახებოდა. ხანდახან თურმე აქედან ზღვის დანახვაც შეიძლება. ზურგსუკან ახხის მასივი მხრებით შებჯენია ზეიად კავკასიონს. იქით, ლებარდესაკენ მიმავალი გზა ჯერაც არ გახსნილა... თოვლიანი მთები, ტყით მოსილი გორაკები, ვრცელი ველები, მწვანე ჯეჯილი კენქოვან მინდვრებზე, ვერცხლისფრად დაკლაკნილი მდინარეები აბაშა და ნოღელა (გორაკებს მიღმა გამჭვირვალე ტეხურიც მიედინება), ფართოდ გაშლილი სოფლები, ვაშლის, ტყემლის, მსხლისა და ატმის ყვავილებით გადაპენტილი ბაღები და კარ-მიდამოები გარემოს აძლევს სინედლის, სიახლის, ცინცხალ ელფერს... ყოველივე ნორჩია და ახალი, ჩვენს თვალწინ იბადება...

საუბარი მაინც ცამეტსაუკუნოვანი ტაძრიდან დავიწყეთ. თქმა არ უნდა, ასეთ უნიკალურ ძეგლებს ბოლო დრომდე მაინცდამაინც ვერ ექცეოდა ის ყურადღება, რისი ღირსიც უნდა ყოფილიყო ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა, რომლის ნმინდა ქვები თითქოს დღესაც ინახავენ გიორგი ჭყონდიდელის, დავით აღმაშენებლის, თამარის, სხვათა და სხვათა ხელის სითბოს... ამ დაუფასებლობის გამოხატულება იყო თუნდაც ის, რომ ზედ შემოსასვლელთან თავის დროზე დაუნგრევიათ სამრეკლო (მისი საძირკველი ახლაც ამჩნევია), მის ადგილას კი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა აუგიათ. ახლა საქმე სასიკეთოდაა შეცვლილი. მალე სამონასტრო კომპლექსი თავის პირვანდელ სახეს მიიღებს. ახლაც სასიამოვნოდ არის მოვლილი ეზო, მკვიდრი გალავანი უვლის გარს, ტაძრის გვერდით დიდი რუდუნებითა და სიყვარულით აღუდგენიათ მაღალი სამრეკლო. თვით ტაძრის ბრწყინვალე ნაგებობა კარგად არის დაცული და მალე ალბათ შეუდგებიან მის შიდა რესტავრაციასაც, რათა შთამომავლობას შეენახოს უმშვენიერესი, შთამბეჭდავი ფრესკები. ისიც სათქმელია, რომ კომპლექსი მომავალში კეთილი საქმის სამსახურში ჩადგება. აქ უნდა გაიხსნას მარტვილის სახალხო აკადემია, ყოველწლიურად ჩატარდება სახალხო ზეიმი „მარტვილობა“... მომავალში აქ საბაგირო გზაც ამოვა. ჯემალ გიგიბერიამ მაღალი, მშვენიერი ნაგებობა მიჩვენა. ეს იყო საბაგირო გზის ქვედა სადგური. მომთავრებას ცოტაღა უკლია, მაგრამ, როგორც ჩანს, საბაგირო გზათა სამმართველოს მაინცდამაინც არ უყვარს აჩქარება.

რაკი საუბარი მშენებლობას შეეხო, ამაზე უკეთეს სათვალთვალო წერტილს სად ვიშოვიდით. ჩვენს თვალწინ თითქოს ცოცხალი რუკა გადაშლილიყო. დაბა არც ისე დიდია, მაგრამ სწრაფად იზრდება და სულ მალე ალბათ სარაიონო დაქვემდებარების ქალაქად გადაიქცევა. მისი ცენტრალური, ადმინისტრაციული ნაწილი სადა და მიმზიდველია. მომავალი განაშენიანება უმთავრესად მდინარე ინჩხის ნაპირებისაკენ გადაინევს. აქამდე დაჭაობებული ჭინკას ღელე ამოავსეს და ზედ მშვენიერი გზა გაშენდა, რომელიც მომავალში სანაპირო ბულვარად გადაიქცევა. დაბამ მდინარის მიღმა მიწები შემოიმტკიცა. მდინარეზე კაპიტალური ხიდი გაიდო და იმ ნაპირზე უკვე აშენდა ახალი პურკომბინატი. აქვე აიგება ლიმონათის ქარხანა. მდინარის კბოდეზე, მომავალი ბულვარის საპირისპიროდ დიდების მემორიალი წამოიმართება... მრავალი სხვა წვრილი დაწესებულებაც შენდება, ან ბინას იცვლის. ყოველი მათგანი დიდი ქალაქისათვის იქნებ არ იყოს ეგზომ მნიშვნელოვანი, მაგრამ პატარა დაბას შეიძლება იერი შეუცვალოს თუნდაც ბავშვთა პოლიკლინიკამ, ანდა ახალმა სტატისტიკური სამმართველოს შენობამ, ან ახალმა ბაზარმა...

მე ვინახულე ცენტრში აშენებული პირველი საშუალო სკოლა, მემკვიდრე 150 წლის წინათ დაარსებული ორკლასიანი სასწავლებლისა. ეს ახალი შენობა დაბის მშვენებაა. სკოლის ძველი შენობაც საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავია. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი პიონერთა სასახლეს დაეთმობა... პატარა დაბაში ყოველი ახალი სახლი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. რას წარმოადგენს ხუთსართულიანი სახლი, ვთქვათ, დედაქალაქისათვის? აქ კი ასეთი სახლი მთელი დაბის სიამაყე ხდება. ასეთი სახლები უკვე აშენდა და კიდევ აშენდება. ალბათ ხუთწლედის ბოლოსათვის ბინით დაკ-

(გაგრძელება 21-ე გვერდზე).

# ილია ვეკუა 75

## ორიოდე სიტყვა

მე წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავ ილია ვეკუას სტუდენტი და შემდეგ მისი მეგობარი. სტუდენტმა-ფიზიკოსებმა პირველი კურსიდანვე შევიყვარეთ ახალგაზრდა დოცენტი, რომელიც გატაცებით კითხულობდა ლექციებს და აუდიტორიასთან გასაოცარი სისწრაფით ამყარებდა კონტაქტს. სიფიცხე და გაჯავრებაც კი მომხიბვლელი ჰქონდა, უწყინარი. გამოცდაზე საკმაოდ მკაცრი იყო და ადვილად იცოდა წონასწორობიდან გამოსვლა. განიცდიდა, როდესაც სტუდენტი არ იყო კარგად მომზადებული.

მახსოვს, ერთხელ გამოცდა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გვქონდა. ერთ-ერთი სტუდენტი ძალიან კარგად პასუხობდა, გამოკითხვას კი ბოლო არ უჩანდა. ბოლოს მან, რა თქმა უნდა, „ფრიადი“ დაიმსახურა. მე გავბედე და ბატონ ილიას შევეკითხე, თუ რატომ გაუძნელდა ასე შეფასება. მან გაიღიმა და იქ მყოფ სტუდენტებს გვითხრა: „ასეთ კარგ პასუხს გამოცდაზე იშვიათად ვისმენ. ხომ შეიძლება გავიგრძელო სიამოვნება?“

ის ყმაწვილი გახლდათ, ამჟამად ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ანდრო ბიწაძე. მაშინ რა ვიცოდით, რომ მოწმე ვიყავით ორი შესანიშნავი მათემატიკოსის პირველი შეხვედრისა. ანდრო ბიწაძე გახდა პროფესორ ილია ვეკუას ერთ-ერთი პირველი ასპირანტი. ერთად მუშაობდნენ მოსკოვში და შემდეგ ნოვოსიბირსკში, სადაც აკადემიკოსი ილია ვეკუა იყო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ხოლო ანდრო ბიწაძე ამავე უნივერსიტეტის პროფესორი.

1939 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დამტოვეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის ასისტენტად. 1941 წლის დასაწყისში ილია ვეკუა დაინიშნა ამ ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. ერთ მშვენიერ დღეს იგი დიდხანს მესაუბრა. მალე ფაკულტეტის სწავლული მდივანი გავხდი, ექვსი თვის შემდეგ კი — დეკანის მოადგილე სასწავლო ნაწილში. აქედან დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობა, დაახლოება, დამეგობრება.

კვლევითი მუშაობითა და ლექციებით დატვირთული ჩვენი დეკანი დიდ დროს უთმობდა მხატვრულ ლიტერატურას, უცხო ენების შესწავლას. გატაცებით უყვარდა მუსიკა; თვითონაც მღეროდა. რაც უფრო ახლოს გავიცანი, მით უფრო მაოცებდა მისი გულითადობა, თანდაყოლილი ტაქტი.

ბატონი ილია ადვილად ამყარებდა ადამიანურ კონტაქტებს ყველასთან, ვისთანაც კი მას უხდებოდა ურთიერთობა. ასეთი იყო ახალგაზრდობაში, ასეთივე დარჩა მაშინაც, როდესაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

მძიმე ავადმყოფობის პერიოდში მთელი სიძლიერით გამომჟღავნდა მისი ძლიერი ბუნება, დიდი ნებისყოფა, კაცთმოყვარეობა. ის მუშაობდა მთელი დატვირთვით და ცდილობდა, ყურადღება არავისთვის მოეკლო.

ჩვენი ძვირფასი ბატონი ილიას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მიილია და ჩაიძირა მისი საყვარელი „ცისფერი ტრიოს“ ჰანგებში...

**ალექსანდრე იშხნელი,**
პროფესორი.

## უკვე ისტორია...

(ჟურნალ „დროშის“ ამ ნომრის ჩანართ გვერდებზე გამოქვეყნებული ფოტოების შესახებ).

1973 წელი.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ესტუმრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე და მათთან საგულისხმო საუბარი ჰქონდა ჩვენი უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის პერსპექტივებზე.

მაშინ ილია ვეკუა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო.

პირველ ფოტოზე აღბეჭდილია ეს შეხვედრა.

1967 წლის შემოდგომაზე ილია ვეკუას დაბადების 60 წლის იუბილესათვის მოსკოვსა და ნოვოსიბირსკშიც ემზადებოდნენ. სწორედ მაშინ საგანგებო დავალებით ნოვოსიბირსკში გავემგზავრე. საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერთა თუ უნივერსიტეტის რიგითი მუშაკების საუბრიდან ჩანდა, რა დიდი სიყვარული დაუტოვებია მას რუს მეგობრებში.

იმ დროს არის გადაღებული კოტეჯი (ბოლო, მეცხრე ფოტო), რომელშიც ცხოვრობდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ფუძემდებელი და პირველი რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ნოვოსიბირსკიდან დაბრუნებულს ციმბირელი კოლეგების მრავალი კეთილი სურვილი და მოკითხვა უნდა გადამეცა. მორიდებით შევედი მის კაბინეტში და... გავოცდი. ბატონი ილია ღიღინებდა, წყნარად, ოდნავ გასაგონად და ფორმულები გადაჰქონდა ქაღალდზე. მეორე ფოტო იმ დროს გადავიღე.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა... ამ ორი ერთმანეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის საუბარი მუდამ გამთბარი იყო მათთვის დამახასიათებელი იუმორით.

მესამე ფოტოზე ერთ-ერთი ასეთი საუბარია აღბეჭდილი.

1968 წლის ერთი მშვენიერი საღამო იყო.

აკაკი შანიძემ შინ მიიწვია საქართველოში ჩამოსული ქართველოლოგი გერტრუდ პეჩი და მისი მეუღლე, ილია ვეკუა და კონსტანტინე გამსახურდია მეუღლეებით. დიდხანს გაგრძელდა მეგობრული საუბარი.

შემდეგ კი დიდმა მამულიშვილებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს. „დროშის“ მკითხველთ ვთავაზობთ მაშინდელ ერთ კადრს (მეოთხე ფოტოზე, მარცხნიდან) კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, ჟურნალისტი იულიუს პეჩი და ილია ვეკუა.

1967 წლის ნოემბერი. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, მათემატიკოსი რიჰარდ კურანტი ეწვია საქართველოს. მაშინაა გადაღებული მეექვსე სურათი.

იმავე წლის ოქტომბერში ერევანში სამი უნივერსიტეტის (თბილისის, ბაქოს, ერევნის) რექტორების, პროფესორების ნ. ნერსესიანის, ა. მეხტი სადიღ ოღლისა და აკადემიკოს ი. ვეკუას ასეთი ორიგინალური შეხვედრაა აღბეჭდილი მეშვიდე სურათზე.

მერვე ფოტო კი გვაცნობს ილია ვეკუას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. ეს იყო 1966 წელს, ნოვოსიბირსკიდან თბილისში ახლადდაბრუნებულს, მისი სურვილით ეს საოჯახო (და ჩემთვის პირველი) ფოტო გადავუღე.

და აი, უკანასკნელი სურათი.

1977 წლის 22 აპრილს, დაბადების 75-ე წლისთავის წინა დღეს, ბატონმა ილიამ მის პატივსაცემად ჩამოსულ მეცნიერთა მცირე ჯგუფთან ერთად მცხეთაში და ჯვარზე წასვლა ისურვა...

დიდხანს მდუმარედ იდგა სვეტიცხოველში დიდი წინაპრების — ვახტანგ გორგასალისა და ერეკლე მეორის საფლავებთან...

შემდეგ ჯვარი.

აპრილის საგაზაფხულო მზით შემთბარ სივრცეში სიცოცხლის დაბადების გამაბრუებელი სურნელი ტრიალებდა.

ბატონი ილია ნიშთან მისულიყო და თავისი განუმეორებელი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით დასცქეროდა მცხეთის სანახებს...

მისი უკანასკნელი სურათი...

ეს ყველაფერი რა ჩვეულებრივი და თითქოს უბრალო ჩანდა მაშინ, იმ დღეებში, 1977 წლის დეკემბრიდან კი ისტორიად იქცა... ყოველ შემთხვევაში, დიდი ცხოვრების ისტორიის უმცირეს ნაწილად მაინც.

**გივი შეყილაძე,**
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამუშაო კაბინეტში.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა

კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, იულიუს პეჩი და ილია ვეკუა.







საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხთა ხელოვნების განყოფილება 1978 წელს ჩამოყალიბდა. განყოფილებამ მიზნად დაისახა, შეეგროვებინა საბჭოთა ხელოვნების განვითარების ისტორიის ამსახველი კოლექცია.

ფონდში ამჟამად დაცულია საბჭოთა რუსეთის მხატვრების უფროსი და უმცროსი თაობის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენლის ნამუშევარი: სსრკ სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვ. ფავორსკის, რსფსრ სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ პ. კონჩალოვსკის, ფერმწერ-მონუმენტალისტის და გრაფიკოსის ლ. ბრაუნის, რსფსრ დამსახურებული მხატვრის ა. ლაბასისა, სსრკ სახალხო მხატვრის, სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ა. დეინეკას, გამოჩენილი საბჭოთა გრაფიკოსის ე. კიბრიკის, მ. აქსელროდის, რსფსრ დამსახურებული მხატვრის ა. ნიკიჩის, ვ. ჩერნეცოვის, ვ. ვაკიდინის, ნ. ვიტინგის, ლ. ზუსმანის და სხვათა საინტერესო ნამუშევრები.

ჟურნალ „დროშის" ამ ნომრის ჩანართ გვერდებზე ადგილი ეთმობა რსფსრ მხატვართა ნამუშევრებს, რომლებიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.



პეტრე კონჩალოვსკი — აყვავებული ვაშლის ხე



ვალერი გრიაზნოვი — ვამი.



იგორ გრაბარი — მარინე ივაშინის პორტრეტი



ევგენი ვახტანგოვი — ზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა







ჯვრის გადმოსახედთან.

ილია ვეკუა და ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსი რიჰარდ კურანტი.

ერევნის, ბაქოს, და თბილისის უნივერსიტეტების რექტორები (ერევანი, 1967 წ. ოქტომბერი).

ოჯახის წევრები და სტუმრები.

კოტეჯი ნოვოსიბირსკში, სადაც ცხოვრობდა ქართველი მეცნიერი





# ძვირფას მეგობარს კარლო კალაძეს

იტყვიან ხოლმე: საქართველოში პოეტები მრავლად გვყვანანო. არ არის მართალი. საქართველოში ძალზე ბევრი წერს ლექსს. მაგრამ პოეტი, ნაღდი პოეტი — ცოტაა. და შენ ამ ცოტათაგანი ხარ, რჩეულთაგანი ხარ, ძმაო კარლო!

ჯერ კიდევ ყმაწვილობისას, როცა მე და შენ ცხოვრების გარიჟრაჟზე შევხვდით ერთმანეთს, გქონდა შენი საკუთარი ხელწერა, საკუთარი პოეტური ხმა. მას მერე მრავალ ჭირთა მთმენელი იყავ, გულს მრავალი ნაიარევი დაგაჩნდა პირად ცხოვრებაში, მაგრამ შენი ხმა მაინც ომახიანად გაისმის დღესაც. ეს იმიტომ, რომ შენ ნიადაგ პოეზიით სულდგმულობ, ეს იმიტომ, რომ შეჭირვების ჟამს შენ ლექსებით იბრუნებ დაკოდილ სულს.

საქართველოში უყვართ შენი ლექსი და ამად არის, რომ სათუთად მღერიან: „თოვლი მოსულა? — რაა თოვლი, რაა ჭაღარა, თუ წუთის ერთმა ნაპერწკალმა კვლავ გამახარა!“

აი, წუთის ამ ერთი ნაპერწკლის ალითა ხარ დღესაც გულანთებული, თუმცა უკვე 75 წელი მოიტოვე უკან...

კვლავაც ასე ჭაბუკურად გულანთებულს გევლოს ამ ქვეყანაზე და, შენივე სიტყვებით რომ ვთქვა: „ვიმღეროთ, სანამ არ არის გვიან, სანამ აქ ირგვლივ დგას მთების ალყა, სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვია და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!“

**ჭუჯი ძიძიშვილი,**
პროფესორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

მხატვარი რობერტ სტურუა

# „მადლიერი დედა“

გამოჩენილი მოქანდაკის გიორგი ოჩიაურის ქანდაკება „მადლიერი დედა“ ახლახან ალიმართა გამარჯვების პარკში. იგი პარკის გეგმარების მთავარ ღერძზე დგას და აგვირგვინებს მის ციცაბოზე ხელოვნურად შექმნილ საფეხუროვან კასკადებს, მოზაიკური პანოებითა და რელიეფებით დაფარული ქვის სტელებით რომ არის გაკეთებული. ქანდაკება ქართველი ჯარისკაცის სიმბოლური საფლავის ანსამბლის მარტო კომპოზიციური დომინანტი არ არის. იგი მისი შინაარსის დედააზრია — უკვდავყოფს სამამულო ომში გამარჯვებული ხალხის გმირობას.

გიორგი ოჩიაურმა ქართველი დედის განზოგადებული სახე წარმოგვიდგინა. აფრიალებული მანდილითა და მუხის რტოთი ხელაპყრობილი დედის ცრემლშემშრალი სახის ნაკვთებში ირეკლება მწუხარებით გაკაჟებული გულისტკივილი და გმირულად დაღუპული შვილისადმი მადლიერების გრძნობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანსა და საპასუხისმგებლო პრობლემათა წინაშე იდგა ხელოვანი ამ ქმნილების ადგილზე „ჩადგმის“ თვალსაზრისითაც. ქანდაკება ხომ მძლავრად იჭრება ბუნების წიაღში და უკვე ჩამოყალიბებული გარემოს ჩვეულ სილამაზეში შეაქვს სრულიად ახალი, ხელოვნურად შექმნილი, უჩვეულო აქცენტი. ამით ხელოვანი თვით ქმნის ახალ მხატვრულ გარემოს. როგორც ჩანს, ნაწარმოების კომპოზიციის შექმნის პროცესში გიორგი ოჩიაურისათვის საგანგებო ზრუნვის საკითხი გამხდარა ის, რომ ქანდაკება ტყით დაფარული მთის ციცაბო კალთაზე იდგმებოდა და კარგად გამოჩნდებოდა ახლო თუ შორეული წერტილიდან. ამიტომაა, რომ ქანდაკების ზედა ნაწილის საერთო ნახატში, მის სილუეტში, აფრიალებული მანდილით და ენერგიულად აწვდილი ხელებით შექმნილ ცეზურებში, ბერმუხის ვარჯი წარმოისახება.

გარდა ამისა, ქანდაკება ხომ ხელოვნურად აგებულ, ტერასებად დაშვებული კიბის კომპლექსშიც შედის, რომლის კალაპოტში გამომწყვდეულია ჩანჩქერებად გადმოღვრილი წყლის დინება და შადრევნის ჭავლთა დინამიკა. ამ დინამიკური რიტმითაა დამუხტული დაბალ კვარცხლბეკზე შედგმული „მადლიერი დედის“ ფიგურაც. მოქანდაკეს „მადლიერი დედის“ პლასტიკაში აღუბეჭდია ამ მოძრაობის გარდამავალი მომენტი ანუ ორი საწინააღმდეგო მიმართულების — ჰაერში შეჩერებისა და ძირს დაშვების — ვიზუალური საწყისი. მანდილის დინებაში და კაბის კეცილთა შერკალურ სვლებში იგი ზემოდან დაშვებული სხეულის ჰაერით შეჩერების შთაბეჭდილებას ქმნის, ხოლო წინ წახრილი ტორსის, დაღუნული თავისა და ასიმეტრიული კვარცხლბეკის ფორმის ერთობლიობაში კი აღქმის სხვაგვარი ვიზუალური ასპექტი იკითხება — ქვევითკენ დაშვების, წყლის დინებასთან შესვლის კავშირი. ფიგურისათვის შერჩეულმა მასშტაბმა მთის ფერდის ხედებში დომინანტის როლი მიანიჭა მას და ამავე დროს მემორიალური ანსამბლის მხატვრული სინთეზი მთლიანობაში შეკრა. ეს კავშირი კი უფრო მტკიცე გახდება, როდესაც ანსამბლის ქვედა ტერასა მიიღებს დასრულებულ სახეს. მაგრამ ახლაც „მადლიერი დედა“ წარმოსდგება ვითარცა ფრთებგაშლილი, შორით მოსული გამარჯვებისა და დიდების სიმბოლო — ნიკე. მას ხელით მოაქვს შინმოუსვლელთა საფლავისაკენ უკვდავების რტო და მაყურებელს გამარჯვებისა და დიდების ზეიმის პათეტიკურობით მუხტავს.



**ლევან რჩეულიშვილი,**
პროფესორი.



# კვირიკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ნოველა

მამისონის უღელტეხილი კარგა ხანია გადათეთრდა. მაგრამ სექტემბრის დასაწყისში გლოლას რომ თოვლი სწვეოდეს, აქაურ ბერიკაცებსაც არ ახსოვთ.

საავდრო ღრუბელი ჯერ შორას დააცხრა, თვალის დახამხამებაში ხეობა ამოავსო და სამხრობამდე ჯერ კიდევ დრო რჩებოდა, ჩრდილოეთიდან ცივად რომ წამოუბერა და ერთბაშად ჩამობნელდა, ისეთი სიბნელით, ზაფხულში, სეტყვისწინ რომ იცის ხოლმე.

თოვლს მაინც არავის ელოდა. ჯერ წვიმაგარეულად თოვდა, მერე ხვავრიელად ბარდნიდა, გამთბარ მიწას მაინც რომ ვერა დაატყო, ხოშკაკალა წამოაყარა: ყინულის საფენი გაუმზადა ფანტელებს და ნამქერი რომ დაბზრიალდა, ყველამ ირწმუნა, რომ ამინდი არ ხუმრობდა. კაცებმა ტომრები წამოიხურეს და ტყეს მიაშურეს. ბავშვები ჟივილხივილით იკლებდნენ გარემოს, საჩიხეს — მიმწყდარი საქონელი ბღაოდა. ქორებიც კი დაბლა ეშვებოდნენ, ისე დაბლა, რომ სახლის ერდოზე სხდებოდნენ და ავ თვალებს აბრიალებდნენ.

სოფელში მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. კაცმაც და საქონელმაც დაიჯერა ზამთრის გამოცხადება და შეგუება იწყო. მეორე დილით უკვე გამოჩნდა გზაზე თივით დატვირთული ჩოჩიალა ურმები, აქა-იქ ოჩოფეხებიან რაჭველებსაც მოჰკრავდით თვალს. სოფლის მაღაზია პურის ფქვილისგან დაიცალა, თოვლის საყრელი ნიჩბებიც მოიძიეს და ეზოებში შეშის გორებიც გაჩნდა.

მამისონისკენ მიმავალი სამანქანო გზა არც წელს აღმოჩნდა თოვლისათვის მზად. კარგად გათენებული იყო, გლოლას ზემოთ, ტურბაზის ასაქცევში გამაყრუებელი სიგნალისა და მძღოლთა ჰაიჰუის ხმები, ერთმანეთში არეული, შოვს რომ მიაწყდა და ჭანჭახის ნაპირებზე გაიშალა.

ამ ადგილას გასულ კვირას ბულდოზერი მუშაობდა. მერე, როგორც ეს საერთოდ ხდება, ბულდოზერს სხვა უბანზე უხმეს. ასფალტგადათხრილი აყალომიწაამობრუნებული გზა კი ღვთის ანაბარა დარჩა. დილით ჯერ შოვისკენ მიმავალი ცისფერი „ვოლგა“ აბუქსავდა, მძღოლმა, როგორც ჩანს ძალა დაატანა საბურავებს და იმდენი აწვალა, სანამ მანქანა გზას გადაცდა და ხრამში გადაყირავდა. ამასობაში ქვემოდან წითელი „ჟიგული“ მოდიოდა. „ჟიგულის“ მძღოლმა იფიქრა, გზაზე უადგილო ადგილას გაჩხერილ „ვოლგას“ გვერდს ავუქცევო და სწრაფად გააქანა, მაგრამ ვერც მან გაალწია თოვლსა და ტალახს. კარგა ხანს ადგილზე ღრიალებდა, მერე უკანსვლით წამოვიდა, მაგრამ მის კვალში მდგარ თეთრ „ჟიგულს“ რომ მოჰკრა თვალი, დაამუხრუჭა. დამუხრუჭება კი საბედისწერო აღმოჩნდა ორივე მანქანისთვის. თოვლში აცურებული წითელი „ჟიგული“ ციგასავით დაეშვა დაღმართში, უკან მომავალს დაეჯახა, ცხვირი შეუნგრია და მარჯვნივ გადააგდო, ხოლო თვითონ კი გზის მეორე მხარეს, ჭანჭახის ნაპირას ჩაეკიდა ისე, რომ მდინარის მღვრიე წყალი წინა ფარებზე სცემდა. ატყდა ერთი ალიაქოთი. ჯერ მძღოლები და თითო-ოროლა მგზავრი დაფაცურდნენ (მადლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა!), მერე ბარ-ნიჩბიანი სოფლელებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ერთი ბერიკაცის გარდა ქალები იყვნენ და ამ საქმისა არა გაეგებოდათ რა. მოძრაობა შეჩერდა. ზემოდან მომავალმა ძველმა „ვოლგამ“ სცადა ხრამში გადავარდნილი თავისი თანამოძმის ამოთრევა, მაგრამ ბაგირი გაუწყდა. გაწყვეტილი ბოლო პარპრიზეზე მოხვდა და გაუბზარა, ხოლო თვითონ ინერციით წინ გასრიალდა და გზაზე გარდიგარდმო გაჩერდა.

ასეთი სურათი დახვდა კვირიკე გაგნიძეს გლოლის ასაქცევში, ტურბაზასთან, როცა ძროხებით დატვირთული რახრახა „ტრალერით“ მამისონზე მიეშურებოდა.

მანქანა გზის ნაპირას, თხმელას მიაყენა. გადახტა და წყალში ჩაკიდებულ „ჟიგულთან“ მორიალე ხალხს შეერია.

— ხალხს ხვარაფერი გოუჭირდაყენ? — რიდით იკითხა.

— მეტი გაჭირვება რაღა იქნება, — გულმოსულად უპასუხა წინ მდგარმა, ტალახში ამოგანგლულმა, ჭილოფისქუდიანმა, სქელულვაშა კაცმა.

— ხომ არავინ დაშავებულა-თქვა? — ბოდიში გაკრთა კვირიკეს ხმაში.

სქელულვაშამ ხმა არ გასცა, ტალახში გაალაჯა, იქვე დაგდებულ ბარს ხელი მოჰკიდა და მანქანისკენ წავიდა.

სამიოდე წუთში მოხდა ისე, რომ დაზარალებული მძღოლებიც და გასაჭირში ჩავარდნილი დამხმარე მოქალაქეებიც იმედის თვალით შესცქეროდნენ კვირიკე გაგნიძეს და მის ნება-სურვილს უსიტყვოდ ასრულებდნენ.

— ბეწვზე ხარ გადარჩენილი, თვარა ქვე მოგიწევდა ჭანჭახში ბანავი! — ეხუმრებოდა კვირიკე „ჟიგულის“ მძღოლს, როცა მდინარის კბოდეზე ჩაცურებულ მანქანას მისი დაჟინებული რჩევით წინა თვლებთან ქვის ყორე შეუყენეს, უკანა თვლების ადგილას ბარით მიწა გაუთხარეს, კვალში ხრეში ჩაუყარეს, ფოლადის ბაგირი გამოაბეს და ერთბაშად დაქაჩეს.

გზაზე ამოყვანილი „ჟიგულის“ ახალგაზრდა, ლურჯსვიტრიანმა მძღოლმა კვირიკეს ზედაც არ შეხედა — ჯერ თავისი მანქანა დაათვალიერა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, ჩაჯდა, დაქოქა და მადლობაც არავისთვის უთქვამს, გზას გაუდგა.

კვირიკე ცისფერი „ვოლგისკენ“ წავიდა. ხრამში გადაყირავებული მანქანა ჭილოფისქუდიანი სქელულვაშასი აღმოჩნდა.

— დაჯექი, საჭე მარჯვნივ აილე! — უთხრა კვირიკემ და კარი გაუღო.

— ვცადე, არაფერი გამოდის! — დონჯი გაიკეთა იმედდაკარგულმა მძღოლმა

— შენ მოტორი ჩართე და მარჯვნივ აილე. დიდი გაზი არ მისცე. მე ვიცი, რასაც გეუბნები! — კვირიკეს დარწმუნებული ხმა ჰქონდა.

— სანამ შენ მოხვიდოდი, ორი საათი ვეწვალეთ, ამის ამოყვანას ტრაქტორის მეტი არ უშველის! — კვერი დაუკრა სქელულვაშას ვილაცამ.

კვირიკემ გასაღები გამოართვა, თხმელას ტოტები შეატეხა და წინ თვლებთან დაყარა. სამი კაცი „ვოლგის“ მარჯვენა ფრთასთან დააყენა და დაავალა, ძრავი რომ ამუშავდება, მანქანას ზევითკენ კი არა, მარცხნივ მიაწექითო. თავდაპირველად მართლაც არაფერი გამოვიდა, მაგრამ კარგა ხნის წვალების მერე მანქანა ნელა ამოძვრა გზაზე.

„ვოლგის“ მძღოლმა ხელები ჩვრით შეიწმინდა,

კვირიკეს მადლობა მოახსენა, საფულე გახსნა — ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და დარცხვენით წაილუღლუღა:

— ჩემს სახელზე, იქნება თითო ბოთლი დაგელიათ დიდი პატივი მეცით და თუ არ მიწყენთ ამ მცირე საჩუქარს.

— რავა გეკადრებათყენ — ამ საქმეში ფულს ქვე რავა გამოგართმევთ. მოფრები არ ვართ, კაცო?

სქელულვაშამ ერთხელ კიდევ მოიხადა გულწრფელი მადლობა, პიჯაკის ბოლოები აიკეცა და გზაზე ლურჯი ბოლი დააყენა.

კვირიკე თეთრი „ჟიგულისკენ“ წავიდა.

— შენ ვინ დაგარტყა? — ჰკითხა თავახდილ ძარასთან ჩამუხლულ თეთრმოსასხამიან, წითურ მამაკაცს.

— იმან, წითელმა.

— ქვე წყალში რო იყო?

— დიახ.

— რაიო?

— არაფერი. რას ვეტყოდი. რა მისი ბრალია, დაუცურდა მანქანა.

კვირიკეს გაეღიმა.

— თუ მოვიდაყე, ბოდიში მაინც თუ მოგიხადაყე.

— რად მინდოდა მისი ბოდიში.

— კაცი შენ ყოფილხარ.

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ!

წითურმა მოსასხამი გაიხადა და მანქანის სალონში შეაგდო.

— სტარტერია ჩამომწყდარი დარტყმისგან და არ ატრიალებს.

— უსტარტეროდ დავქოქავ, მაგრამ ჯერ რადიატორი უნდა გავმართოთ, ორივე კრილო თვლებს ედება და უნდა გამოვწიოთყე. რამე ბრეზენტის ნაჭერი ხომ არ გაქვთ?

— ბრეზენტი რად გინდათ?

— ქვევიდან უნდა დავუჭირო, სტარტერს და კრილოებსაც დავუკაკუნო.

— არა, ბატონო. გაცივდებით ამ ტალახში. ვერ გადაგაყოლებთ ჩემს მანქანას. თქვენ გეჩქარებათ ალბათ, წაბრძანდით თქვენს გზაზე. მოვუხერხებ რაღაცას მე თვითონ, მე მგონია.

კვირიკემ უკან მომდგარ ტომარაჩამოფხატულ ბიჭს მოხედა.

— ერთი, შენს გაზრდას, გავარდი და ბრეზენტის ნაჭერი მომირბენიე, ექნებათყე სადმე გადაგდებული.

— ეს არ ივარგებს? — ბიჭმა თავიდან ტომარა აიძრო და გაუწოდა.

— ნუ წუხდები, თუ ძმა ხარ, არ შეიძლება ამ ჭყაპში მანქანის ქვეშ... გაცივდები! — შეწუხდა თეთრი „ჟიგულის“ პატრონი, მაგრამ უკვე გვიან იყო, კვირიკემ სახელოები აიკაპიწა, ტომარა ბეჭებზე წამოიხურა და „ჟიგულს“ შეუხოხდა.

— თექვსმეტიანი! — გამოიშვირა ხელი კვირიკემ და მაშინვე ჩაუდეს ხელში თექვსმეტიანი ქანჩი.

მალე თავი გამოყო კვირიკემ მანქანის ქვემოდან და ტომრის პატრონს შეხედა.

— ქვე რავა გკადრო, მარა, იმ ჩემს მანქანაზე სამი ძროხუკაა, დილიდან არაფერი უჭამიათ, დაწყდებიან მშიერი. ზევით ფერმაში მიმყავსყენ. ეგება ერთი კონა ჩალა, ან თივა გაახერხო სადმე. მერე მე ვიცი შენს ქორწილში! — პასუხს არ დაუცადა და ისევ მანქანის ქვეშ შერგო თავი.

კარგა ხნის შემდეგ კვირიკემ ჩაქუჩი მოითხოვა და დიდხანს უკაკუნებდა დაღრეცილ ფრთებსა და წინა ფართუკს.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ ტალახში ამოსვრილი, სიცივისგან გალურჯებული გამოხოხდა, ხელები თოვლით შეიწმინდა და მანამ არ მოშორდა საქმეს, სანამ თეთრი „ჟიგული“ არ აღულუნდა.

— ასეთ საქმეზე მადლობა უბრალო რამაა. ვაჟკაცი ყოფილხარ, ძმაო. სხვას ვერაფერს გკადრებ: აი, ჩემი ტელეფონი, თბილისში რომ ჩამოხვალ, დამირეკე. კაცი ვარ მეც. იმას არ დაგივიწყებ, აგრემც სიკვდილს დავიწყებიხარ.

კვირიკემ [illegible] ქაღალდი გამოართვა და მის ხელს თავისი მძიმე უხეში მარჯვენა შეაგება.

— ვაჟკაცი მე კი არა, შენ ყოფილხარ. კაცმა მანქანა დაგილეწა და სიტყვაც არ გითქვამს. რისი მადლობა. ნეტავი მართლა რამე შემეძლოს თქვენისთანა ხალხისთვის.

თეთრი „ჟიგული“ რომ წავიდა, კვირიკე კიდევ დიდხანს ტრიალებდა გზაზე. მანქანებს გზას უჩვენებდა, ასწავლიდა საიდან უნდა შემოევლოთ, რომელი სიჩქარით გასულიყვნენ ტალახში. დაცურებულებს თავის ხარის ქედით აწვებოდა და სამშვიდობოს გაჰყავდა.

„ტრალერის“ ძარაზე სამი უნაბისფერი ძროხა ზარმაცად და ცოტა უგემურადაც შეექცეოდა სველ ჩალას, რომელიც, ეტყობა, ზვინის ზედა კონა იყო და ამიტომ შმორის სუნი დაჰკრავდა.

# მეზობლები

ნოველა

მარლენ თევდორაძემ საკერავი მანქანა იატაკზე დააბრაგუნა, მაჯით ოფლი შეიწმინდა და კედელს მიეყრდნო.

— თუ ამტვრევდი, რაღას ამოგქონდა, შე კაცო!

ოჯახის უფროსმა ხმა არ გასცა მეუღლეს. გულზე იყო გამსკდარი. შვიდი წელი შენდებოდა მათი საამხანაგო სახლი. ათსართულიან შენობას სურამის ციხესავით ნელა და საიმედოდ აგებდნენ. შვიდი წლის წინ კოოპერატივის წევრის წინასწარი გადასახადი რომ შეიტანა და ქვითარს ხელს აწერდა, დოცენტ მარლენ თევდორაძეს შიშმა გაჰკრა გულში — ოღონდ მეათე სართული არ შემხვდებოდესო. ბოლო სართული, მოგეხსენებათ, ჭერს ემიჯნება და ტრესტ „წითელმშენის“ აგებულ სახლებში წვიმის დროს წყალი ჩამოდის, ხოლო სიცხეში სულისშემხუთველად ხურდება. ესეც რომ არ იყოს, ძელქვიანელებს საერთოდ არ უყვართ მაღალ სართულზე ცხოვრება. გუშინ აუხდა შიში. კენჭისყრით სწორედ მეათე სართული შეხვდა. რას იზამდა. დაბრალებითაც ვერავის დააბრალებდა, თვითონ ამოიღო ქაღალდი. შვილებს იფიცებოდა, ყუთში ხელი რომ ჩავყავი, უკვე ვიცოდი, რომ მეათე სართულთან მქონდა საქმეო.

ხელები გაიფერთხა, სამზარეულოში გავიდა და პური წაიტეხა.

— ლობიო მაინც მოგეხარშა, რა გადაყლაპავს ამ გამხმარ პურს უქრიანტელოდ.

— ისე მეუბნები, მარლენ, თითქოს ხელდაქდეული ვიჯდე მთელი დღე.

მეუღლე რომ მართალი იყო, ამას ის მკითხველიც კი წარმოიდგენს, ვისაც ახალ ბინაში გადაბარგების განამანია კარგა ხნის დაჭინყებული აქვს.

— ბევრი დარჩა?

ეს სიტყვები ქალბატონმა ლილიმ თანამეცხედრეს კარებში დაანია. პასუხს, კაცმა რომ თქვას, არც ელოდა. მეუღლეს უბრალოდ უთანაგრძნო, გაამხნევა, თორემ თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ბარგის ნახევარი ჯერ ამოსაზიდი იყო.

პარმაღზე საუბარი მოესმა. სწორედ რომ სტუმრის თავი გვაქვს ახლაო, გაიფიქრა და სააბაზანოში შევარდა, სხვა თუ არაფერი, თმა მაინც რომ გადაევარცხნა.

მარლენმა ცნობით იცნო მეზობელი, მაგრამ სახელი და გვარი ვერ გაიხსენა. მაღალი, წელში მოკაკვული თეთრთმიანი კაცი იყო, სამოცდაათზე მეტის იქნებოდა. კოოპერატივის კრებაზე ყოველთვის დაგვიანებით ცხადდებოდა და დაგვიანებისთვის ათას ბოდიშს იხდიდა. სტუმარი კარებშივე გაჩერდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— არ გაგიკვირდეთ, ბატონო, ასე თათარიახნად რომ დაგეცით თავზე, მაგრამ მერე გვიან იქნება, რომ დავლაგდებით. სამსონ ზამბახიძე გახლავართ მე. მეექვსე სართულზე ვცხოვრობ. თქვენ არ მიცნობთ, რასაკვირველია. პენსიონერი გახლავართ, რიონის სადგურში ვიმუშავე ორმოცი წელი. ახლა პენსიაზე ვარ. ველარ შევძელი მუშაობა, თვარა ახლაც მეხვეწება, დაბრუნდიო, სადგურის უფროსი. რა მაგის პასუხია და თავზარი დამეცა გუშინ თქვენ რომ მეათე სართული შეგხვდათ. შეწუხებული სახეები გქონდათ ორივეს. თქვენი მეუღლე?

— სახლშია, ლილი! — გასძახა კარებს დოცენტმა.

ლილი გამოვიდა, სტუმარს ხელი ჩამოართვა და რიდეგადაკრულ „ტრილიაჟის“ ყუთზე ჩამოჯდა.

სამსონი ჩქარა სუნთქავდა. საფეთქელზე დიდი ცისფერი ძარღვი რუკაზე მიხატული რიონივით უჩანდა.

— ახალგაზრდები ხართ. მოწავალი წინ გაქვთ, ბავშვები?

— სამი, — სიტყვა შეაწია ქალბატონმა ლილიმ.

— სამი ბავშვი, კაი მოგეცათ. გაწვალდებით მეათე სართულზე. ხან ლიფტი არ იმუშავებს, წყალიც მცირე წნევის დროს არ ამოვა. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, გაგიცვალოთ სართული, რასაკვირველია, თუ თქვენი ნებაც იქნება, თქვენ ჩამობრძანდით მეექვსეზე და ჩვენ ამოვალთ ზევით. ასე აჯობებს თქვენთვის.

სამსონის ნათქვამი გვალვაში წვიმის მოსვლას ჰგავდა. ცოლ-ქმარი სიხარულისგან ლამის აცეკვებულიყვნენ, მაგრამ მარლენ თევდორაძემ მაინც დინჯად ჰკითხა:

— კი მაგრამ თქვენ?

— ჩვენ, ჩემო ბატონო, — სამსონს ღიმილი უხდებოდა, — ჩვენი ცხოვრება უკვე მოჭმული გვაქვს. უშვილძიროდ შევაბერდით ცას. დარჩენილ ორ პარასკევს მეათეზე გავატარებთ თუ მეექვსეზე, სულ ერთია. მერე მაინც მთავრობას უნდა დარჩეს, ნათესავიც არავინ გვყავს ისეთი,

ბინა რომ უჭირდეს. ასე აჯობებს. თქვენ ახალგაზრდები ხართ. მეზობლობაში სიკეთე არ დაიკარგება, ასეა ეს.

— ჩვენ... თუ გადავწყვეტთ ამ საქმეს, ტყვილად კი არ გვინდა, — ლილიმ მკლავებზე ხელი ჩამოისვა და განზე გაიხედა, — ფასი უნდა გვითხრათ და მოვრიგდეთ უნდა.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო, — ზამბახიძეს ხმაში წყენა გაერია. — ასე წავიდა ჩვენი საქმე? კი, მართალია, გამორჩენის გარეშე ბევრი ხელს არ გაანძრევს დღეს, მარა, მთლად კი არ დაკარგულა კაცობა და სინდისნამუსი. თითზე გადასახვევი ჭინჭიც კი არ გვინდა თქვენი. ა, ასე რავარცაა გავცვალოთ ეს ბინები, თუ გნებავთ, რასაკვირველია.

რალა ბევრი გავაგრძელო, ხელი მისცეს ერთმანეთს. მარლენი სამჯერ ემთხვია მხარზე კეთილ მეზობელს და მოხუცის უნაპირო სიკეთით ათრთოლებული დიდხანს მთვრალივით, გულისამაჩუყებლად ლუღლუღებდა; კაცი ვარ მეც, დაკარგული არა ვარ და მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამო.

დრო არ დაუკარგავთ. მცირე ვახშმობის დროს ბარგი უკვე ამოზიდული გახლდათ. ყველაფერი თავის ადგილას დადგა. დაღლილობამაც თითქოს გაუარა მარლენს, მეექვსე სართული! ეს ხომ ოცნების ახდომას ჰგავდა. სახელდახელოდ გაშლილ ქვეშაგებში (საწოლების აწყობა ხვალისთვის გადადეს) ბავშვებმა რომ მიიძინეს, ქალბატონი ლილი წინკარში გამოვიდა საგულდაგულოდ შეკრული წიგნების შლა-ფერთხვაში გართულ მეუღლეს თავს წაადგა.

— მაინც ეს აჩქარება ვერ მოიშალე, ქველაფერში ასე იცი.

მარლენმა წიგნების გროვას კანაფი შემოაჭრა და ამოხედა.

— არ მომწონს ეს საქმე მე, მომკალი თუ გინდა.

— რა საქმე? — მარლენი მუხლებში ჩაიკეცა და სმენად იქცა, თუმცა მშვენივრად მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი.

— ეს ბინის გაცვლა, რა და..

— კაი არ მოგიხდა ხომ?

— რა კაი. ქვეყანამ იცის, მეათე სართული რომ შეგხვდა.

— მერე?

— არ იცი ვითომ ხალხის ენის ამბავი. ხვალიდანვე მთელი ქალაქი ილაპარაკებს, მარლენ თევდორაძემ იყიდა მეექვსე სართულიო. გვინდა ეს ამბავი ჩვენ?

მარლენმა კეფა მოიფხანა. ამაზე თვითონაც ფიქრობდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა.

— ილაპარაკებენ და ილაპარაკონ.

— რატომ თვარა კი, — ლილიმ ხმას დაუწია, რითაც მეტი დამაჯერებლობა მისცა თავის ნათქვამს, — რატომ უნდა ილაპარაკონ, თვარა კი... ვიქნებოდით მშვენივრად ჩვენს მეათე სართულზე, რაც ღმერთმა შეგვახვედრა, ის იყო ალბათ ჩვენი იღბალი.

— მერე აქამდე ვერ მითხარი, ქალო, ეს ამბავი? რას მიმალავდი, გავწყდი კაცი წელში. მე შენი გულისთვის, თორემ სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც არც ქე მინდოდა. მეათე სართულიდან უკეთესი გადმოსახედია-თქვა, პატარა გულიც ქე მწყდებოდა.

მეორე დილით დოცენტი შემკრთალი სახით აკაკუნებდა სამსონ ზამბახიძის კარებზე. თავზე ინმენდდა ხელისგულზე წამოსულ ოფლს და მასპინძელს დარცხვენილი უხსნიდა, ასე გადავწყვიტეთ, ასე გაგვიჭრა ჭკუამ, არ გეწყინოთ, პატივცემულო, მართალია, ბავშვურად გამოგვივიდა, მაგრამ უნდა დაგვაბრუნოთ ისევ ჩვენს მეათე სართულზეო.

სამსონს მიზეზი არც უკითხავს, კი ბატონო, როგორც თქვენ გაგეხარდებათ, მე, ღმერთი, რჯული, სიკეთის მეტი არაფერი მინდა თქვენთვისო, დააყოლა და სამზარეულოში მოფუთფუთე მეუღლეს გასძახა — ბარგი შეკარი, ისევ ქვევით უნდა ჩავიდეთო.

ერთი საათის შემდეგ მეათე და მეექვსე სართულს შორის გახურებული მიმოსვლა გაიმართა. თევდორაძეები უჩვეულოდ ალტკინებულნი, გაბრწყინებული სახეებით ეზიდებოდნენ ტვირთს, სამსონსა და მის მეუღლეს, პირიქით — დაძმარებული სახეები ჰქონდათ. ისინი კიბეზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრისას ორივე მხარე სერიოზულ, მშვიდ სახეს იღებდა, ორიოდე ნაბიჯის შემდეგ კი სიმშვიდის ნიღაბს იცილებდნენ და თავიანთ ბუნებრივ განწყობილებას უბრუნდებოდნენ — თევდორაძეები რატომღაც მხიარულს, ზამბახიძეები — სევდიანს.

ოთხშაბათ დილით მარლენს დედის ბიძაშვილი ჯემალ ბასილაძე ეწვია. ჯემალი რომელიღაც უწყების სარევიზიო განყოფილებაში მუშაობდა. ავკარგიანი კაცი იყო, გულღია, პურისმჭამელი. ქალაქში ერთგული და ვაჟკაცი ბიჭის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მისი თანამდებობის სხვა პირთაგან განსხვავებით ღარიბულად, მაგრამ პატიოსნად • ცხოვრობდა. გაეგო მარლენის ბინის მიღება და მოსალოცად წამოსულიყო.

ჯემალ ბასილაძემ ბინის გაცვლა-გამოცვლის ვოდევილური ისტორია რომ შეიტყო, შეიცხადა:

— ეგ როგორ მოგივიდათ! ლილი კარგი, ქალია, მაგრამ შენ მაინც რაღამ დაგიბინდა, მარლენ, გონება? გაგიმართლდათ შავი დედალივით, ბედი თავისი ფეხით მოგადგათ კარზე და უარი თქვით?

— სალაპარაკო გახდებოდა, — შეცვლილი ხმით, ამოოხვრით თქვა დოცენტმა და თვალები ჭერს მიაპყრო.

— ელაპარაკნათ მერე. სალაპარაკოს შენ გამოულევ ხალხს? რა გქონდა სალაპარაკო, მოიპარე რამე თუ რა. ღვთიან-მადლიანმა კაცმა დღისით-მზისით თავისი სურვილით გაგიცვალა სართული. მთლად კი არ უნდა დაგლახაკდე კაცი.

— მაინც რითი სჯობია, მითხარი ვაჟკაცურად, მეექვსე სართული მეათეს? — აშკარად ჩანდა, მარლენი ხავსს ებღაუჭებოდა.

— არ იცი ვითომ? — შუა ოთახში დოინჯშემოყრილი გაჰყვიროდა ჯემალი და სწორ, ბლუჯა წარბებს ნამდაუწუმ ისწორებდა, — სად მეათე და სად მეექვსე. მე შენ გეტყვი, ნესიერად მუშაობს ჩვენთან ან სანტექნიკა, ან განათება, ან სხვა რამე. გამორთავენ დენს — ავარიააო. შეწყდება წყალიც და გაჩერდება ლიფტიც. მეათეზე წყალი თავისი წნევით ამოვა? არ ამოვა. ტუმბომ უნდა დაქაჩოს. სად უმუშავია, რომელ სახლში ტუმბოს ნესიერად რომ თქვენთან იმუშაოს. შენ ახლა, ღმერთმა კარგად გამყოფოს, ჯეელი კაცი ხარ. პატარა რომ შებერდები და მუხლები დაგისუსტდება, ნახე მერე რავარია მეათე სართულზე ულიფტოდ ამოსვლა.

— აწი მაინც აღარაფერი ეშველება ამ საქმეს. — ლილი თურმე იქვე იყო, საბანს შალითას აკერავდა.

— გავარდი ახლავე, მარლენ, ჩაუვარდი იმ კაცს ფეხებში. მაპატიე, გავბრიყვდი-თქვა. არ გეტყვის უარს. ახლავე ჩადი, დროს ნუ დაკარგავ.

ფეხები უკან რჩებოდა მარლენს, მაგრამ მაინც გაბედა... მიუბოდიშ-მოუბოდიშა შუბლშეჭმუხვნილ მასპინძელს. ქალის ჭკუას ავყევი და მოვღორდი კაცი, თუ არ გადაგიფიქრებიათ, მაპატიეთ ჩემი სიყრუე და ისევ გავცვალოთ ბინებიო.

სამსონ ზამბახიძე ერთხანს დაფიქრებით უცქეროდა მოსულს, თითქოსდა საპასუხოდ სიტყვებს ეძებსო. ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა. შეურაცხყოფილიც გახლდათ მცირედ და ნასიამოვნებიც, რომ მეზობლები ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ მის კეთილ გულს, ბოლოს მაინც ამ უკანასკნელმა გრძნობამ სძლია, სახე გაუნათდა და ხელი გაუწოდა ობოლი ძიძიშვილივით კარებში მორცხვად მდგარ სტუმარს.

ბარგის გადაზიდვაში ჯემალ ბასილაძეც მონაწილეობდა. იგი ხან მარლენს გამოართმევდა ბოლო კიბემდე ამოტანილ ტვირთს, ხან ზამბახიძეებს წაუკრავდა ხელს. მიკერძოებას თავისი ნათესავების მიმართაც არ იჩენდა. ორივე მხარეს ერთგულად ემსახურებოდა. მეზობელ-ნათესავებმა იმ დღეს პირველად აღმოაჩინეს, რომ რევიზორს უამრავი ლექსი სცოდნია ზეპირად, ხოლო შავი სამუშაო (ბარგის გადაზიდვა და სხვა მსგავსი საქმეები) მაინცდამაინც არ ჰყვარებია.

იმ ღამით მარლენ თევდორაძე შუაღამისას ავმა ფიქრებმა გაალვიძა. არ იქნა და რული არ მოეკიდა. წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და ჩამქრალ ქალაქს გადახედა: „ცანცარა ვარ და მეტი არაფერი. რა ბზიკმა მიკბინა, რაზე გავიბითურე თავი. ჯემალის ჭკუაზე ივლის კაცი? ჯემალს ჯერ თვითონ რა ხეირი დააყარა მისმა ჭკუამ, მე რა ჯილას დამადგამს. მეათე სართული, მართალია, ჭერთან ახლოსაა, მაგრამ სამაგიეროდ, სათავსოების გაკეთებაც შეიძლება ზევით. მთელი ჭერი შენს ხელთაა. ავიდოდი და ვისეირნებდი სახურავზე. შეზლონგს ავიტანდი და მზეზეც წამოვწვებოდი. ესეც არ იყოს, რა აქვს გულში ამ ზამბახიძეს რომ არ ვიცი? ტყუილი ამბავია, მზარდი მეცნიერი ხარ და იმიტომ გცემ პატივსო. მაგ ჭკუაზეა სწორედ. მოსაწყობი ეყოლება ვინმე, ან რაღაცა ექნება უფრო დიდი საქმე. ესეც რომ არ იყოს, რატომ უნდა ვიყო მთელი ცხოვრება ამ ბებრებისგან დავალებული, რატომ უნდა შევციცინებდე თვალებში სულ. რა იცი, რა კაცია, ეგება და ხვალ ყელში ამოგიყვანოს ეს პატივისცემა. მე შენ გეტყვი, ცოტა ყოფილა შემთხვევა. რა მაქვს, ღმერთო კი მომკალი, სხვისი დასაყვედრებელი. ჩემი შრომით და წვალებით მომიტანია ჩემი ცხოვრება აქამდე. უპატრონოდ, მაგრამ სხვის დაუმადლებლად“.

დილით, როდესაც სამსონ ზამბახიძემ კარებში მდგარი, სირცხვილისაგან გაფითრებული მეზობელი დაინახა, პირის გაღება არ აცალა, დაჭყრილი ნადირივით დაიგმინა, სტაცა კედელსმიყუდებულ ორ ჩემოდანს ხელი და უკანმოუხედავად ჩაარბენინა. ეტყობოდა, სამსონი ელოდა ამ წუთს და გუშინ ბარგი არც კი ამოულაგებია. ყველაფერი შეკრული და წასაღებად გამზადებული წინკარში ელაგა.

პირმოკუმულნი, კუშტად და გაბრაზებით ეზიდებოდნენ თევდორაძეები და ზამბახიძეები თავთავიანთ ტვირთს. ერთმანეთს ზედაც არ უყურებდნენ. კიბეზე ერთმანეთს შემთხვევით ზედწამწყდარნი თავებს მაღლა სწევდნენ და თითქოსდა უსიამოვნო სუნი ეცათო, განზე და შორს იცქირებოდნენ.

* * *

ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ სამსონ ზამბახიძე გარდაიცვალა. მატარებელი დაეჯახა ბაზარში მიმავალს.

სკამები და შავი ფარდა მეზობლებმა მარლენ თევდორაძის ბინიდანაც ინათხოვრეს. ოჯახის უფროსს წყენით როგორ არ ეწყინა სამსონის სიკვდილი, მაგრამ სამძიმარზე (და არც გასვენებაზე) არ ჩასულა.

ქვეყანამ იცის, რომ ერთმანეთს ვემდურით და სხვანაირად ჩამომართმევენო. ესეც არ იყოს, მოხუცებულ ქვრივს იქნებ არც კი ესიამოვნოს ჩემი გამოჩენა და, ვინ იცის, ქოქოლაც დამაყაროსო.

სამსონ ზამბახიძის დაკრძალვაზე ყველა სხვა მეზობელი გახლდათ.

# შეხვედრა ჩვენს თანამედროვესთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულატ ოკუჯავამ დაწერა ლექსების 6 კრებული, რამდენიმე მოთხრობა, ორი კინოსცენარი, სამი ისტორიული რომანი. მაგრამ ყველაზე მეტად მას სახელი გაუთქვა მისმა სიმღერებმა, რომელთა მუსიკას თვითონ წერს და თვითონვე ასრულებს.

**— როგორია თქვენი გზა ლიტერატურაში, რომელია თქვენი ბიოგრაფიის ძირითადი ნიშანსვეტები?**

— დავიბადე მოსკოვში, არბატზე. 17 წლისა მე-9 კლასიდან ფრონტზე წაველი, ვმონაწილეობდი ბრძოლებში, დავიჭერი. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი თბილისის უნივერსიტეტში. ფილოლოგი გავხდი. კალუგის სოფელში გავემგზავრე. მასწავლებლად ვმუშაობდი. შემდეგ კალუგის გაზეთის კორესპონდენტი ვიყავი. შემდეგ დავბრუნდი მოსკოვში. ვმუშაობდი გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიაში". შემდეგ განვაგებდი პოეზიის განყოფილებას „ლიტერატურნაია გაზეტაში". უკანასკნელი წლები მთლიანად შემოქმედებას ვუძღვენი.

**— როგორია თქვენი შემოქმედებითი კრედო?**

— მე მიმაჩნია, რომ მწერლის ამოცანაა მის ხელთ არსებული საშუალებებით ასახოს საკუთარი თავი, საკუთარი ცხოვრება, მაშასადამე, თანამედროვეთა ცხოვრებაც, მკითხველს გაუზიაროს შთაბეჭდილებები გარემომცველ სამყაროზე. და თუ კი მისი მონათხრობი დააინტერესებს მკითხველს, მაშასადამე, იგი ხელოვნების მოვლენაა, კულტურის მოვლენაა.

**— შეგიძლიათ თუ არა გამოყოთ რომელიმე ეტაპი თქვენს შემოქმედებაში?**

— თითქმის როგორც ყველა, მეც ჯერ კიდევ ბავშვობაში ლექსების წერა დავიწყე. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული როდია, მაგრამ ამაში რაღაც მაინც არის: ბავშვებს უყვართ თხზვა, მათ მოსწონთ რიტმიკა, გული მიუწევთ სიმღერისაკენ. ამაში რაღაც არის ბუნებრივი. მაგრამ მხოლოდ 35 წლის ასაკში დავიწყე პოეტური სახეებით აზროვნება. მაშინ შევუდექი სერიოზულად წერას, ეს გადაიქცა საკუთარი თავის ასახვის საშუალებად. და შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით წარიმართა: ვწერდი ლექსებს და სურვილი გამიჩნდა, მემღერა ისინი, დავიწყე ლექსების თხზვა და გამიჩნდა სურვილი, პროზაზე გადავსულიყავ...

**— საიდან იღებთ სიუჟეტებს თქვენი პროზისათვის?**

— ძალზე საინტერესოა ისტორიული დოკუმენტების, მიმოწერის კითხვა. ისინი შესანიშნავად მოგვითხრობენ ეპოქაზე, მის ადამიანებზე. თუ ყურადღებით წაიკითხავ, სიუჟეტების ისეთ სიუხვეს აღმოაჩენ, მხოლოდ მოასწარი ხელის განძრევა.

ამბობენ, თანამედროვეობა ერთი გაელვებააო. გაელვების შემდეგ უკვე წარსულია. მაშ, რას მოვკიდოთ ხელი, თუ არა ისტორიას? შორი მანძილიდან შეიძლება უკეთ გავიაზროთ, მოვიფიქროთ, გავიგოთ...

**— საერთოდ, როგორ ეკიდებით ისტორიული რომანის ჟანრს?**

— არიან მწერლები, რომლებიც ისახავენ ამოცანას: მოუთხრონ მკითხველს ცნობილ ისტორიულ პიროვნებაზე ან მოვლენაზე, მაგრამ აი, ლევ ტოლსტოიმ დაწერა „ომი და მშვიდობა". შეიძლება თუ არა მას ისტორიული რომანისტი ვუწოდოთ? არა! იგი „უბრალოდ" დიდი მწერალია, რომელიც გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ისტორიული მასალის ფონზე...

**— მუშაობთ თუ არა ამჟამად ახალ ისტორიულ რომანზე?**

— დიახ, მისი სახელწოდება იქნება „პაემანი ბონაპარტთან", იმ პირობით, რა თქმა უნდა, თუ გამომივიდა, დავწერე ზუსტად ნახევარი, ახლა საჭიროა დამთავრება — ეს მუდამ ძალზე ძნელია. მასალას საფუძვლად უდევს XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის ნამდვილი დოკუმენტები, ისტორიისა და ბუნებისმეტყველების ყოფილი მასწავლებლის — ერთ-ერთი ავსტრიელის წერილები, რომელმაც უღალატა თავის პროფესიას და არმიაში წავიდა... ეს გახლავთ აღსარება ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა შურისძიების შიში...

**— როგორ მკითხველს ისურვებდით?**

— იმაზე უკეთესი, როგორიც არის, არც მინდა.

**— თქვენი მიდრეკილება ფერწერაში, პროზაში, პოეზიაში, თეატრალურ ხელოვნებაში?**

— თუ ფერწერაზე ვისაუბრებთ, ყველაზე მეტად მიზიდავს XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის რუსული პორტრეტი — როკოტოვი, ლევიცკი, ბოროვიკოვსკი... ხატვა რომ შემეძლოს, შევქმნიდი მცირე ზომის პორტრეტებს — ნაცნობი ადამიანების მედალიონებს, როგორც ამას ძველად აკეთებდნენ, და მათ ლაკით დავფარავდი. ბოლოს და ბოლოს შევქმნიდი ჩემთვის ახლობელი ადამიანების პორტრეტების გალერეას.

თუ ვილაპარაკებთ საყვარელ ადამიანებზე პროზასა და პოეზიაში, ესენი არიან პუშკინი, ტოლსტოი, პასტერნაკი, ჰოფმანი...

რაც შეეხება თეატრს, მომწონს ტრადიციული წარმოდგენები — მე, საერთოდ ძველმოდური კაცი ვარ ჩემი გემოვნებით და მოდერნისა არაფერი გამეგება. მაგრამ ჩემს სიყვარულში ერთად ცხოვრობენ ისეთი განსხვავებული მოვლენები, როგორიც არის მოსკოვის თეატრი ტაგანკაზე და დიდი დრამატული თეატრი ლენინგრადში...

**— თქვენი წარმოდგენა მწერლის ბედნიერებაზე?**

— როცა ჩემი მოთხრობა საინტერესოა ადამიანებისათვის, ეს ბედნიერებაა, თუ არა — მარცხი განვიცადე. შემოქმედებით წარმატებათა და წარუმატებლობათა მონაცვლეობა არის კიდეც ჩვენი ცხოვრება.

**მ. ბარანოვი.**

**რედაქციისაგან:** ჟურნალ „დროშის" კოლექტივი დიდი სიყვარულით მიესალმება ქვეყნის მეზობარს, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პოეტს, პროზაიკოსს, კინოსცენარისტს, საუცხოო სიმღერების ავტორს — **ბულატ შალვას ძე ოკუჯავას** და გულითადად უსურვებს მას მრავალ შემოქმედებით სიხარულს, დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ბედნიერებას.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

პეტრე შამათავა

ის დღე სამახსოვრო, განუმეორებელი აღმოჩნდა. ის იყო გაზეთის ახალი ნომრის გარჩევა-მიმოხილვა მოვათავეთ და მორიგი ნომრის მაკეტის განხილვას შევუდექით, რომ მდივანი შემოვიდა და მოგვახსენა — გალაკტიონი მობრძანდა, თქვენი ნახვა სურსო...

ბუნებრივია, თათბირი დროებით შევწყვიტეთ.

გალაკტიონმა ოთახში ამდენი ოფიცერი რომ დაინახა თავმოყრილი, შეწუხდა. უდროო დროს მოვსულვარო, მოიბოდიშა. თუმცა, რა ჰქონდა საბოდიშო, მისი სტუმრობა ყოველთვის დიდად სასიამოვნო იყო მებრძოლთა გაზეთის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორგანოს „ლენინის დროშის" რედაქციის კოლექტივისათვის. გაზეთის არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე ხომ სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძე მუდამ ჩვენი საყვარელი ავტორი, გულითადი მრჩეველი იყო.

პოეტმა ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი. მრგვალ მაგიდასთან დაჯდა... შუბლი მოისრისა, მოგვიკითხა, მერე ჩვენი გაზეთის უახლესი ნომრების შეკვრა აიღო. ასეთი ჩვევა ჰქონდა: რედაქციაში ათვალიერებდა ხოლმე გაზეთის ბოლო ნომრებს.

პოეტის ყურადღება ორიგინალურმა სალაშქრო-სამწყობრო სიმღერების ნოტებმა და ტექსტებმა მიიქცია.

— ეს რა კარგი თაოსნობა გამოგიჩენიათ. პროფესიონალებთან ერთად თვით ნიჭიერი მეომარი ავტორებიც მოგიზიდავთ. სიმღერა ჯარის სული და გულია! — გვითხრა და მცირე პაუზის შემდეგ მისთვის ჩვეული სიდარბაისლით განაგრძო:

— თქვენ, სამხედრო ჟურნალისტები, თქვენი წერილებით, ნარკვევებით, სტატიებით დიდად სასარგებლო საქმეს აკეთებთ. ჩვენი ადამიანების საბრძოლო გმირობისა და თავდადების მემატიანენი ხართ. იცით, ძამიკო, ლევ ტოლსტოი მეომრებზე წერდა: და მერე როგორ! მის იშვიათ ტალანტს ისიც უწყობდა ხელს, რომ მწერალი ახალგაზრდობაში ჯარში მსახურობდა, კავკასიაში შევიდა სამხედრო სამსახურში. მამაცი მეთაური იყო, არტილერიის ოფიცერი. კარგად იცოდა სამხედრო საქმე, რუსი მეომრების ცხოვრება, მათი ყოფა, სულისკვეთება.

ლევ ტოლსტოი პირადად მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში. იქვე დაწერა თავისი ცნობილი მოთხრობები რუსი ჯარისკაცის გულადობასა და თავდადებაზე.

სამხედრო თემებზე საუცხოოდ წერდა ალექსანდრე კუპრინიც. მან თავად გამოსცადა ჯოხის დისციპლინაზე დაფუძნებული ჯარისკაცის აუტანელი ცხოვრება...

ვუსმენდი დიდი პოეტის საუბარს და მახსენდებოდა, სამამულო ომში რა დიდი როლი ითამაშა ქართულმა მწერლობამ და კერძოდ, ჩვენმა თანამოსაუბრემ. კვლავ ჩამესმოდა მრისხანე ომის დღეებში პოეტის მოწოდების ზარივით მჭუხარე სიტყვები: „ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია. ანამ გმირმა შენთვის სული დალია, სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!".

დიდი გალაკტიონის შემოქმედებაში მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი, ბობოქარი, ისტორიული მოვლენები აისახა, ორიგინალურად გაშუქდა რევოლუციის, ომისა და მშვიდობის ძირეული პრობლემები, მათი სოციალური არსი და კლასობრივი ბუნება. პოეტი-ტრიბუნი მხნედ, რწმენით აღვსილი ამბობდა თავის სათქმელს და ხალხი, მათ შორის ჩვენი თაობაც, მთელი შეგნებით, გულით იზიარებდა და იმეორებდა პოეტის მართალ სტრიქონებს: „რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და თავდაცვის გენია, ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია...".

გალაკტიონის ბობოქარი, საბრძოლო ლექსები ჯერ მისსავე პირველ „რჩეულში" შევიდა, შემდეგ შეიქმნა ცალკე ტომი. მისი ყოველი ლექსი საბჭოთა პოეზიის თვალმარგალიტია, მებრძოლი, მოქალაქეობრივი პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში.

ამ ლექსებში პოეტმა შთამბეჭდავად გვიჩვენა დიდი სამამულო ომის სამართლიანი, გამათავისუფლებელი, სახალხო ხასიათი, საბჭოთა ხალხების, მათი ერთგული შვილების დარაზმულობა, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სულიერი სისპეტაკე, საბრძოლო-პატრიოტული შემართება, მეომრული ნიჭი და უნარი.

გვიჩვენა ორი მოწინააღმდეგე სამყაროს, ორი არმიის, ორი იდეოლოგიის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში ჩვენი ადამიანების ძალა და ძლიერება, განადიდა ფაშიზმის, მისი ანტიჰუმანური, მხეცური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა მაღალი საბრძოლო-მორალური თვისებები — გაუტეხელობა, სულის სიმტკიცე, მორალური ძალა, ვაჟკაცობა.

ამ ლექსების ერთი ნაწილი თავდაპირველად მებრძოლთა ფრონტული გაზეთის „ლენინის დროშის" ფურცლებზე ისტამბებოდა, მოქმედ არმიაში, თანამემამულეთა საბრძოლო მწყობრში აღწევდა, მეომართა სულსა და გულში პოულობდა ადგილს...

შაშხანა და ლექსი, ჯარისკაცი და პოეტი ერთიან საბრძოლო მწყობრში იდგნენ, ერთ მთავარ, საშვილიშვილო საქმეს ემსახურებოდნენ — საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

...ვისმენდი დიდი პოეტის შთამაგონებელ საუბარს და გამახსენდა ომის მეორე წელს შექმნილი მისი მშვენიერი ლექსი — „ჯარი სიმღერით მიდის", რომელიც მაშინვე გავრცელდა ხალხსა და არმიაში და საბრძოლო სიმღერად იქცა.

ცხადია, ასეულში ნოტები არა ჰქონდათ, მაგრამ ლექსის ტექსტი, ბუნებრივად, ორგანულად ერწყმოდა მხედრულ მოტივს, სიმღერას, რადგან პოეზიის იშვიათი ნიმუში თავად იყო სიმღერა გულისა!

დიახ, „ჯარი სიმღერით მიდის" საბრძოლო პოეტური ჰიმნია სამშობლოს დასაცავად ამხედრებული მამულიშვილისა; მისი მკაცრი და ფაქიზი სახის, მისი სულის, შინაგანი სამყაროს ნათელი სურათია. ის ხომ წინ უძღოდა დიდი ომის მკაცრ და ვრცელ გზაზე მამულიშვილებს, საბჭოთა სამშობლოსათვის მებრძოლებს! — გავიფიქრე და კვლავ თვალწინ დამიდგა დაუვიწყარი კოლექტიური პორტრეტი მამაცი თანაპოლკელებისა, არმიული ცხოვრების რომანტიკისა, ასე სრულად და შთამბეჭდავად რომ წარმოგვისახა დიდმა პოეტმა თავის მართალ სტრიქონებში: „ქარი მოარხევს დროშებს, ქუხს ორკესტრების წყება... ახლა ნაბიჯით მწყობრით მოდის ქვეითი ჯარი... ერთი სიმღერას იწყებს, აჰყვა მეორე მშვიდიც, ჯარი არ უფრთხის სიცხეს, ჯარი სიმღერით მიდის..."

დიდხანს ვსაუბრობდით. სტუმარი გვიზიარებდა თავის აზრს, სასარგებლოს და დამაფიქრებელს. ცხადია, არავის მიგვიქცევია ყურადღება, რა დრო გავიდა.

სამხედრო ჟურნალისტები: გიორგი ბოგველიშვილი, კომანდო დობორჯგინიძე, აკაკი კობერიძე, ვარლამ აბხაზავა, ბორის შეწირული, კონსტანტინე მესხი, ჯანო იაშვილი და სხვები ყურადღებით უსმენდნენ დიდ პოეტს.

დღესაც თვალწინ მიდგას გალაკტიონი სამხედრო რედაქციაში. ჟურნალისტებთან ვატაცებით მოსაუბრე...

უცებ ტელეფონის ზარი გაისმა, ოლქის პოლიტსამმართველოდან შეგვატყობინეს, 12 საათზე თათბირია დანიშნული და თქვენი დასწრება აუცილებელიაო. უნებლიედ საათს შევხედე...

გალაკტიონი იმწამსვე წამოდგა, მოიბოდიშა. თქვენთვის, სამხედროებისათვის, დრო მეტად ძვირად ღირს, სხვა დროს გამოვივლიო, თქვა, ქუდი და პორტფელი აიღო და წასასვლელად მოემზადა. გულთბილად დაგვემშვიდობა. ქუჩამდე გავაცილე. მანქანა შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა და ფეხით აუყვა ლუნაჩარსკის ქუჩას. კარგა ხანს სიამაყით შევყურებდი რუსთაველის პროსპექტისაკენ მხნედ მიმავალ დიდ პოეტს...

მეორე დღეს ახალგაზრდა ჟურნალისტი, კაპიტანი ბორის შეწირული ვიხმე და გალაკტიონთან გავგზავნე. დავავალე, ეთხოვა ჩვენი სამხედრო გაზეთისათვის შესაფერისი ლექსების შერჩევა. ახალგაზრდა ჟურნალისტი გულთბილად მიეღო გალაკტიონს, მონდომებით შეერჩია ჩვენთვის საჭირო ლექსები.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „ლენინის დროშის" მთელი მესამე გვერდი მივუძღვენით გალაკტიონ ტაბიძის ახალ ლექსებს. იქვე დაისტამბა შალვა რადიანის წერილი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთ „ლენინის დროშის" იმ ნომერს სამხედრო ოლქის მეომრები გამოეხმაურნენ. მათ გულწრფელ წერილებში ერთხელ კიდევ იელვა გალაკტიონის პოეზიამ, როგორც ქართველ მებრძოლთა ძალისა და შემართების ერთ-ერთმა შთამაგონებელმა წყარომ.

შალვა გოგოლაძე

# ძეგლი

მოთხრობა



ჰაუ, გიგლა! სადა ხარ, სადა? ნახე ცხოვრება რა კარგია!

...გიგლას მამა მენახირე იყო. ტატე ერქვა. საქონელში გაეტარებინა თავისი ცხოვრება. მისი ჯალაბი საქონელთან ერთად იძინებდა და მასთან ერთად იღვიძებდა. ზამთარში საქონელი იქვე ახლო ჰყავდათ, სადაც ოჯახი ცხოვრობდა. გიგლამ სხვა ცხოვრებაც გაიგო, მამამისი კი ძველებურ ცხოვრებას იყო მიჩვეული და სხვანაირად ვერც წარმოედგინა.

მენახირის შვილს კარგი გოგო მოეწონა, თვალშურთხა, ლამაზი გოგო, შიში კი ჰქონდა გულში: ვაითუ გოგომ დამიწუნოსო. ვილა ცხოვრობს გომურში პირუტყვთან ერთად! არც მისი რჩეული მოინდომებს საქონელთან ერთად ყოფნას. გიგლა მთასავით ვაჟკაცია, ბევრს შეშურდება ისეთი. ნეტავ რამ გაზარდა ამხელა! ტატე მილეული კაცია, არც დედაა ტანადი. ჭაბუკი ალბათ რომელიღაც თავის წინაპარსა ჰგავს, პაპას ან პაპისპაპას.

— მამი, ცოლი უნდა შევირთო, — ამბობს გიგლა.

— შეირთე, შვილო! განა დრო არ არის?

გიგლას რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერა ბედავს.

— შეირთე, შვილო! — იმეორებს ტატე.

ჭაბუკი ისევ ჩუმადა დგას, თავჩაქინდრული.

— ქორწილსაც კარგს გადაგიხდი, — სიჩუმეს არღვევს ტატე.

— ქორწილი სად უნდა გადამიხადო, მამი?

— სადაც მე და დედაშენმა.

— ახლა სხვა დროა, მამაჩემო, — ისევ თავჩაქინდრული ამბობს გიგლა. შიშობს, მამა არ გააბრაზოს, — იქნებ სახლი ამეშენებინა, მამი!

— სახლიო?! შენ დაბერდები, მე კი აღარ ვიქნები, ვიდრე სახლს ააშენებ. გოგოც გაგითხოვდება, დაგიცდის, კი? აქ მოგეყვანა და მერე ორივენი ნელა-ნელა, როცა შესძლებდით; განა მამაშენს კი არ ეჩქარება პატარა ტატე კალთაში ჩაიგოროს?!

— სად მოვიყვანო, მამი, სადა? — ისევ მოკრძალებით შებედა გიგლამ.

— სადა?! — უკვირს მამას, — აქ რაკი ვცხოვრობდით, იმიტომ თვალთ გვაკლია, ან ყურსა?

გიგლა დუმს, ერთხანს ფიქრი იტაცებს. ახლებურად უნდა ვაჟკაცს ცხოვრება. ისე უნდა იცხოვროს, როგორც სხვები ცხოვრობენ.

— მამი, სახლი უნდა ავაშენო, — ახლა უკვე თამამად ამბობს იგი, — დავიწყებ, კედლებს წამოვდგამ, გადავხურავ და მერე...

— რა მერე, შვილო? — ანგარიშმიუცემლად ეკითხება ტატე. კაცი იმას ფიქრობს: ახლა ხარკამეჩი და ურემიც დასჭირდებაო.

გიგლამ არ იცის, მამას რა უპასუხოს. „რა მერე"? განა არ იცის მერე რა იქნება? მერე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაწყებულ სახლს დაამთავრებენ, მერე ბავშვები ეყოლებათ და დაზრდიან, მერე...

— ქვის აგროვება უნდა დავიწყოთ, — ფიქრს აწყვეტინებს ტატე.

— კირი გვექნება საშოვნი, — გიგლას არც გაკვირვება გამოუხატავს, არც კმაყოფილება, ისე განაგრძო მამის აზრი.

— ყველაფერს ეშველება, — ამბობს მენახირე.

გიგლა თეძმის ხევს ასჯერ მაინც აუყვა. საკმაოდ ბევრი ქვა ააგროვა. ცხირულის ხევიც არ დატოვა. ხუთი-ექვსი ურემი ქვა იქაც მოძებნა.

— მამი, ქვა სახლთან ახლოს უნდა დავყაროთ.

— ეგ კი აღარ გვიფიქრია, სად ვაპირებთ, ჰა? — ტატე აქეთ-იქით იხედება.

— მამი, ეს ფერდიანი ადგილი ხომ არ აჯობებს?

— ფერდიანი რათა? — უკვირს ტატეს.

— რა ვიცი, გადმოსახედი კარგი იქნება.

— გადმოსახედი? — მზრებს იჩეჩავს მენახირე, — რა გადმოსახედი?!

გადმოსახედის მეტი რა უნახავს ტატეს. ფეხი რომ აიდგა, იმის მერე სულ ნახირში გაატარა ცხოვრება, სულ მინდვრებსა და მთებში იყო, გორაკებიდან უყურებდა ქვეყანას, ზეპირად იცოდა ყველა სერი და მინდორი. კაცი იმასაც გეტყვით: რომელ ორღობეში და რომელ ბაღში რამდენი კაკლის ხე დგას, თვალებდახუჭული გიჩვენებს, რომელ სერზე რა სალოცავია, საით ზედაჯვარია, საით კალობანი. სახლიდან როდისღა უნდა გადმოეხედა! დღისით შინ საჭმელადაც არ შესულა. ან სად ჰქონდა გადმოსახედი მენახირის სახლს.

— იქიდან მიდამო კარგად გამოჩნდება, — იმეორებს გიგლა.

— ჰო, გამოჩნდება, — უგულოდ ეთანხმება ტატე. არ მოსწონს მისი ნათქვამი, — შვილო, შენ არც ბაგრატიონი ხარ და არც თარხნიშვილი, რომა აივანზე დაჯდე და მიდამოს გადახედო. მშრომელ კაცს გადასახედი რათ უნდა? აი, იმათ უნდოდათ გასახედი და გასართობი, — ტატე ხელს მარშლიანთ ძველისძველი, უპატრონო სახლისაკენ იშვერს.

გიგლა სოფლელ ბიჭებთან ერთად ბევრჯერ შესულა მარშლიანთ გავერანებულ სასახლის სარკეებიან და სტალაქტიდებიან დარბაზებში. პირდაღებული უყურებდა ხოლმე ფერადშუშებიან ვიტრაჟებს და მთელი ეს უზარმაზარი გარემო რაღაც, მისთვის შიშისმომგვრელი საიდუმლოებით ივსებოდა. ტატეს ბავშვებისათვის უამბია: ზედა დიდ დარბაზში ორი პატარა აუზი იყო, სადაც თეთრი და შავი ღვინის შადრევნები ამოდიოდაო. მოქეიფეები ფიალებსა და ყანწებს შადრევნებიდან ივსებდნენო. იმასაც დააყოლებდა: მე არ მინახავს — სხვების მონაყოლს გეუბნებით, იმ სასახლეში მე ვინ შემიშვებდაო. ტატეს თვითონაც ეშინოდა იმ სასახლეში შესვლა და შვილსაც ამ შიშსა და მოკრძალებას უნერგავდა. სასახლე კი უკვე გაპარტახებული იყო და საცაა ნანგრევებად იქცეოდა.

წამოზრდილი გიგლა და მისი ტოლები კი ომობანას თამაშით იკლებდნენ ერთ დროს ბრწყინვალე, თავად-აზნაურებით, ლაქიებითა და სეფექალებით სავსე დარბაზებს. ჯოხის თოფებით გამართულ ომობანას ყიჟინს, ვინ იცის, რამდენჯერ დაუფრთხია დარბაზების ჩრდილს შემოფარებული ღორები და თხები. ტატესთვისაც და გიგლასთვისაც ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ისინი თავის თავს არასოდეს უსვამდნენ კითხვებს: რატომ? საიდან? საითკენ? რისთვის? ამიტომ მათ გულს არა სჭამდა ამაოებისა და უიმედობის ჭია. მათ ცხოვრება ისეთი მიიღეს, როგორიც დახვდათ. გიგლას უნდოდა, ცოლი შეერთო, უნდოდა, შვილები ჰყოლოდა, უნდოდა, სახლის აშენება. არასოდეს უფიქრია, რომ დაბერდებოდა და მოკვდებოდა. არც ის უფიქრია, მისი შვილებიც დაბერდებოდნენ და დაიხოცებოდნენ. ისიც ვერ წარმოედგინა, თავისი მომავალი სახლი ოდესმე ნაცარ-ტუტად იქცეოდა. გიგლა, ტატე და მისი წინაპრებიც ბუნების ნამდვილი შვილები იყვნენ. ტატეს მამა სიკვდილს ისევე განუსჯელად შეხვდა, როგორც თავის დაბადებას, მაშინ პატარა გიგლა ქალებს აჰყვა — ტირილი მორთო.

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, — ანუგეშა ბიჭი მამამ.

ტატესათვის არაფერია საკვირველი: არც მზის ამოსვლა, არც ჩასვლა, არც დაბადება, არც სიკვდილი. გიგლას [illegible] ცხოვრებას. მამა მხოლოდ იმას ვერ იტანს, რაც მისთვის უჩვეულოა. სტუმრად ერთ-ორ საათს თუ გაძლებს. მუდამ საქმე უხმობს. ტყუილად ვერ დაჯდება. ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ურჩევნია. ყველაფერი თავის რიგზე იცის. იცის, რომ დაღლილ კაცს დასვენება სჭირდება. მენახირე კაცი შუადღისას უკვე დაღლილია. სახლიც რომ ეწვოდეს, ამ დროს თვალი უნდა მოატყუოს. ტატეს მამისაგან გაუგია: „კაცი შუადღემდე ჯაფამ გატეხა და ძალაგამოლეული მიწაზე დაგდებულა. ეშმაკი მოსულა. უთქვამს: მოკვდეს, აღარ ვარგაო. ამ დროს იქ ღმერთი გაჩენილა. ეშმაკს არ დაეთანხმა: ცოტა წაიძინოს და ისევ კაცი იყოსო". ტატე თავთით ბალიშის ნაცვლად ხელს ამოიდებდა და ისე იძინებდა. მერე კი, ისევ კაცი იყო, ბინდამდე შრომას არ უშინდებოდა.

ტატემ ისიც იცის, რომ მშიერ კაცს ვერ ამუშავებ.

გათენებისას შეაბეს მამამ და შვილმა ხარები ურემში. შუადღემდე ზიდეს ქვა.

— შვილო, გვეყოფა! — აი ესა თქვა მხოლოდ დილას აქეთ გაჩუმებულმა ტატემ.

— ერთი გზაც გაგვეკეთებია, მამი.

— ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგება, — არიგებს მამა.

— რა ცოტა ქვა მოდის ერთ გზაზე! — უკმაყოფილოდ აქნევს თავს შვილი. ეჩქარება, უნდა ხვალვე დაიწყოს სახლის აშენება. დღის ბოლოს კი ძლივძლივობით მხოლოდ ერთი პატარა გროვა დახვავდა ქვებისა.

— ერთი ხელის დაკვრითა სოფელი არ აშენებულა და არც სახლი აშენდება! — ტატემ არ იცის, რომ ეს ანდაზები ისევ ტატემ მოიგონა ასი, ათასი, ან იქნებ, ათიათასი წლის წინ. ტატეს ისინი ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიულია და არც არასოდეს შემცდარა.

დღე დღეს მისდევს და ქვის გროვაც იზრდება და იზრდება. ადრე მოტანილ ქვას ქვაზე აწყობს გიგლა. მამული ვიწრო და ერთი ციცქნაა, გაშლილი ქვა ბევრ ადგილს დაიკავებს. მერე საძირკველი გაითხრება და იმისი მიწაც გვერდებზე გადაიყრება. სახლი დიდი არ იქნება, მაგრამ ადგილიც ხომ პატარაა. ერთი ოთახი ქვემოთ, ერთი ოთახი ზემოთ, წინ აივანი. გიგლასთვის ესეც სასახლეა, მეტი არ უნდა.

— მამი, არ ეყოფა? — კითხულობს ჭაბუკი და ახლად მოტანილ



სოხუმის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრი.

# სოხუმის თეატრალური გაზაფხული

სოხუმის ქართულ თეატრში გიორგი ქავთარაძის მისვლა კოლექტივის ახალმოსახლეობას დაემთხვა.

სეზონის გახსნისათვის ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ შეარჩიეს. დამდგმელ რეჟისორად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიზო ჟორდანია მიიწვიეს, გიორგი ქავთარაძე კი პირველ სპექტაკლში აქტიორული დებიუტით წარუდგა სოხუმელ მაყურებელს. პრემიერა ქართული თეატრალური ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად იქცა. სოხუმის საზოგადოებრიობამ, თბილისიდან, ქუთაისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩასულმა სტუმრებმა ოვაცია გაუმართეს მთელ დასს.

— ჩემდა საბედნიეროდ, — თქვა გიორგი ქავთარაძემ, — სოხუმი ძალზე თეატრალური ქალაქია. მეორე თვეა, სპექტაკლები ანშლაგით მიდის. მოსახლეობა საოცარ ინტერესს იჩენს ჩვენი თეატრისადმი. ეს დიდ შემოქმედებით სტიმულს გვაძლევს. ერთი თვის შემდეგ მაყურებელს კვლავ პრემიერა შევთავაზეთ — ალ. ჩხაიძის პიესა „მიღების დღე“, რომელიც თანამედროვე ცხოვრების მწვავე და მტკივნეულ საკითხებს მოიცავს.

ჩემი აზრით, — განაგრძობს რეჟისორი, — თეატრის ხელმძღვანელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თეატრის როლი კონკრეტულ ვითარებაში. სოხუმი მეტად სპეციფიკური ქალაქია, თუნდაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. სოხუმში ჩამოსულ კაცს, შესაძლოა, მხოლოდ ჩვენი სპექტაკლებით შეექმნას აზრი მთელ ქართულ თეატრზე. ეს ცხადია, ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას და რეპერტუარის ფრთხილი, გონივრული შერჩევისკენ მოგვიწოდებს. როცა ქალაქში ერთადერთი ქართული თეატრია, გაუმართლებელია მხოლოდდა მხოლოდ ერთი გარკვეული პრინციპით მუშაობა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სავსებით მიზანშეწონილია, ერთ თეატრში სრულიად განსხვავებული რეჟისორული ხელწერის სპექტაკლების არსებობა. ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი ბათუმში და, განსაკუთრებით, ქუთაისში მუშაობის დროს.

ჩემი სურვილია, რომ სოხუმის ქართული თეატრის კარი ღია იყოს თანამედროვე ქართული თეატრალური რეჟისურის საუკეთესო წარმომადგენელთათვის, რომ მის სცენაზე სპექტაკლებს დგამდნენ დიმიტრი ალექსიძე და მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე და გიზო ჟორდანია, რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე...

თეატრის ხელმძღვანელი ნდობით ეპყრობა დამწყებ რეჟისორებს. მიმდინარე სეზონში სოხუმის ქართულ თეატრში სპექტაკლებს დგამს თეატრალური ინსტიტუტის ორი დიპლომანტი, მანანა კვირკველია და დავით ანდღულაძე.

სულ მალე მაყურებელი კიდევ ერთ პრემიერას იხილავს; გ. ქავთარაძე დგამს სპექტაკლს, რომელსაც პირობითად შეიძლება „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ეწოდოს. ეს იქნება „ქართული ლექსის საღამო“, რომელიც მოიცავს ერთგვნული პოეზიის შედევრებს [illegible] შეყვარებული დღემდე. როგორც თავად ამბობს, ამგვარი სპექტაკლის დადგმის იდეა საზოგადოების სულიერმა მოთხოვნილებამ უკარნახა.

ამავე სეზონში დაიდგმება ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“; ამ ნაწარმოებს ექსპერიმენტის სახით ორ საღამოდ წარმოადგენენ. იგი ფიქრობს, რომ სპექტაკლს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განსჯითი ხასიათი და ამასთანავე მკვეთრი თეატრალურობა ჰქონდეს. ერთი და იგივე მსახიობმა, შესაძლოა, რამდენიმე კონტრასტული როლიც კი განასახიეროს.

უახლოეს მომავალში დაიდგმება მ. გორკის „ფსკერზე“ და ჰ. იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის“.

ამგვარად, სოხუმის ქართულ თეატრს საინტერესო შემოქმედებითი გეგმები აქვს. ამ გეგმების წარმატებით განხორციელებაა მათი ყველა გულშემატკივრის საერთო სურვილი.

**იოსებ ჭუმბურიძე**



სცენა სპექტაკლიდან „მარადისობის კანონი“. ბაჩანა — რამიშვილი — გ. ქავთარაძე

---

**გზობიდან უკანასკნელ ქვას აგდებს.**

**— დაკლებას მოჭარბება სჯობს, შვილო. მუშას რომ დააყენებ საქმეზე, მერე იმისი მოცდენა არ იქნება. — ტატე დიდი ხნის დალვინებულია, სისხლი ისე არ უდუღს, როგორც შვილს.**

**კირს ორმო უნდა. ხვალ-ზეგ კირს მოიტანენ. სანამ კირი ჩაქრება, ქვიშასაც მოზიდავენ. გიგლა იმედიანად გახედავს ხოლმე ლამაზად დაწყობილ ქვას.**

**ბიჭმა ვერ მოიტანა კირი, ვერც საკირე ორმო გათხარა.**

**გიგლა და მისი ტოლები ომის გზას გაუდგნენ. ჭაბუკს ახალი დაზეთილი შაშხანა მისცეს. თავისი თოფი შინ დატოვა. თოფი ძველი იყო, მაგრამ კარგად შენახული. ო, რა ხმა ჰქონდა იმ თოფს!**

**გიგლას ბავშვები შემოეხვეოდნენ:**

**— ძია გიგლა, თოფი ისროლე, რა, ისროლე, რა!**

**ცოტას იუარებდა, მერე წამლით უხვად დატენილ ვაზნას ჩადებდა და ჰაერში სროლით მიდამოს გააყრუებდა. კმაყოფილი იღიმებოდა, იმ დღეს ოცნებით ელოდებოდა, როცა პატარა ტატე გაჩნდებოდა. აივანზე გადმოდგებოდა და აი ასევე გრიალ-გრუხუნით ქვეყანას ამცნობდა ბიჭის გაჩენას.**

**...ტატე ისევ უხმაუროდ ცხოვრობდა. ან რა ჰქონდა ხმაურით გამოსაჩენი. არც სურვილი ჰქონია ოდესმე ამისი. შვილის მიერ დაწყობილ ყორეს ჩაუვლიდა. თუ ქვები ჩამოცვივნული დახვდებოდა, ისევ ზევით აანყობდა. „ბიჭი ჩამოვა, ისევ ისე უნდა დავახვედრო, როგორც დატოვაო“, იტყოდა. ბინდისას თავის ნახევრადშინურთან ჩამოჯდებოდა და მიწას ჩასცქეროდა.**

**— რა მოგივიდა, ქალო? — უფრო თავის დასამშვიდებლად იტყოდა ტატე, როცა ცოლი აქვითინდებოდა, — რამდენს მოსვლია დაღუპვის ცნობა და მერე კი სალსალამათი დაბრუნებულან.**

**ტატემ იცოდა, ცოლს ვერაფერ ნუგეშს აძლევდა, თავის თავისაც უკვე აღარა სჯეროდა. ჩამოსასვლელი ყველა დაბრუნდა სოფელში. ბერიკაცი ნელ-ნელა ჩაიფერფლა, თვალები უპეებში ჩაუვარდა, თავისა და ხელების კანკალი დასჩემდა. რატომ ამ დროს არ ინუგეშა თავი: „ყველანი სიკვდილის შვილები ვართო?“ სიკვდილიც ყოფილა, თურმე, და სიკვდილიც. იმ სიკვდილის სიმწარეს, რომელიც ტატეს წინ გადაუხტა, იცოდა, ვერავითარი ნუგეში ვერ გაანელებდა.**

**რამდენ ხანს შეიძლებოდა ეცოცხლა მოხუც დედასაც? მეზობლებმა მიცვალებულს გულზე უხეში კანაფით ჩამოკიდებული ნალი უპოვეს. დედის გულს შვილის სიკვდილი ბოლომდე ვერ დააჯერებინა ვერც მიღებულმა ცნობამ, ვერც ომის დამთავრებამ და სხვათა დაბრუნებამ. დედას შვილის წასვლის შემდეგ მძიმე ნალი მკერდიდან არ მოუშორებია. ნალი საფლავში ჩააყოლეს.**

**ყორე კი გიგლას ძეგლად იდგა კარგა ხანს. მერე თანდათან ჩამოიშალა. ქვები აქეთ-იქით გაზიდეს. მხოლოდ წამოზრდილი ბიჭების მეხსიერებას შემორჩა: ვეებერთელა გიგლა თოფით ხელში დგას, ბიჭები მის ზურგსუკან გასუსულან, ყველაზე პატარა ხესაც კი ეფარება. გიგლა თოფს აქუხებს, იღიმება. ოცნებას ულიმის: როცა პატარა ტატე გაჩნდება, მაშინაც აი ასე გადმოდგება თავისი სახლის აივანზე და თოფის სროლით ქვეყანას გააგებინებს ვაჟის გაჩენას.**

# [illegible]

დასასრული

მაყოფილდება ყველა, ვინც კი დღეს აღრიცხვაზე იმყოფება... ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მშენებლობის საკითხები იოლად წყდებოდეს. ყოველი ნაგებობის დაპროექტება, დაფინანსება და აშენება ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ზოგი სიძნელე დაძლეულია, ზოგი კი ძნელად გადასაწყვეტი აღმოჩნდა. მაგალითად, გეგეჭკორელებს ფრიად აწუხებთ საავადმყოფოს საკითხი. ძველი საავადმყოფო ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებებს. რაიონის მესვეურებმა ადგილი შეარჩიეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა გეგმაში ამ მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის შეტანა...

„ესეც ჩვენი ობიექტია!“ — ჯემალ გიგიბერიას შევყავარ ახლადდარგული ნაძვის ხეივანში. იქვე, მარტვილის გორაკის განშტოებაზე, სიღრმეში დგას ორსართულიანი შენობა, რომლის რეკონსტრუქციაც ახლა ხდება. მის ფართო საგამოფენო დარბაზებში მოთავსდება „ტყის მუზეუმი“. რაიონის მთიანი ნაწილი ხომ ტყითაა დაფარული და ეს მუზეუმიც სწორედ ბუნების დაცვის პრობლემებით, ეკოლოგიური წონასწორობის საკითხებით იქნება დაინტერესებული.

ეს მომავალში, ამჟამად კი ამ დაბას უკვე აქვს შესანიშნავი მუზეუმი — მხარეთმცოდნეობისა. იგი მარტო გეგეჭკორის რაიონს როდი ემსახურება. მისი შესწავლის არეა აგრეთვე ცხაკაიას, აბაშისა და ჩხოროწყუს რაიონები. სამივე ამ რაიონში უკვე ყალიბდება მსგავსი პროფილის მუზეუმები, რაშიც მათ დიდ დახმარებას სწორედ გეგეჭკორელები გაუწევენ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გივი ელიავა, ერთ-ერთი დამაარსებელი კულტურის ამ კერისა, თავის საქმეზე ფანატიკურადაა შეყვარებული.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლოგე წულაიასთან ერთად მივყვები ოჯალეშის სანახებს. ეს ის ოჯალეშია, რომელმაც 1912 წელს, მერე კი 1918 წელსაც პარიზში ოქროს მედლები დაიმსახურა. სულ 17 ჰექტარი ფართობი უჭირავს. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ბევრია. „ეჰ, ადგილი რომ მომცა, ერთი ორმოცდაათი ჰექტარი მაინც!“ — ინატრა თავმჯდომარემ. კოლმეურნეობას 400-მდე ჰექტარი უჭირავს, აქ 850-მდე კომლი ცხოვრობს. საკმაოდ დიდი სოფელია და მისი ეკონომიკა, ცხადია, მარტო ოჯალეშს არ ეფუძნება, მაგრამ თავმჯდომარის ნატვრა ჩვენთვის გასაგებია... ყველა ადგილი რომ არ გამოდგება ოჯალეშისათვის მემკვიდრეობით იცის... მემკვიდრეობით იმიტომ ვთქვი, რომ ლოგე შვილია ლუკა წულაიასი, რომელიც აგერ უკვე ორმოცი წელია, თავმჯდომარეობს კოლმეურნეობა „წინსვლას“.

ოჯალეში ნებიერაა, ყველგან ერთნაირად როდი ხარობს. ამას არც უარყოფს ბანძის მევენახეობის მეურნეობის დირექტორი ემილ გალდავა. ამ მეურნეობას იგი 400 ჰექტარზე გაუშენებია. ნამდვილი ოჯალეში სალხინოშია, მაგრამ არც ჩვენი დაიწუნებაო, ამბობს მთავარი აგრონომი მურმან მიქაია. მისი ნათქვამიდან განსაკუთრებით ერთი ფრაზა ჩამრჩა მეხსიერებაში: „ოჯალეში მომავლის ვაზია“. ალბათ ამ სიტყვებში იმალება სიმართლე. ოჯალეშს არ ეშინია სეტყვისა და ყინვისა, მწიფდება გვიან, როცა მუშახელი შედარებით თავისუფალია, მაგრამ მოსავლელად ძნელია, დღე და ღამ ფხიზლად უნდა იყოს მევენახე, ზედმიწევნით უნდა დაიცვას ყველა აგროტექნიკური წესი. ახლა ბანძელებს ვენახის აკვრა მოთავებული ჰქონდათ და რიგთაშორის სახნავად ემზადებოდნენ, რადგან საშიში სარეველა — მამულა მწვანე ხალიჩით ფარავდა უკვე მიწას. ალბათ საქმეც ბევრი მოელოდათ და საზრუნავიც, მაგრამ ოთხ ასეულ ჰექტარზე ლარივით გაჭიმული მწკრივების ნახვა ერთ რამედ ღირს.

ვენახზე ლაპარაკი გამიგრძელდა, რაიონის ეკონომიკის საფუძვლის საფუძველი კი მაინც ჩაია. 1981 წელს რაიონში მოიკრიფა 25288 ტონა ჩაის ფოთოლი. წელს დაგეგმილია 24300 ტონა ფოთლის მოკრეფა. როგორც სხვა რაიონებში, აქაც უთუოდ ხარისხის პრობლემა იქნება მთავარი. პერსპექტივაშია ჩაის ასაწონი და დამფასოებელი ქარხანა. მაშინ მომხმარებელი მიიღებს მზა პროდუქციას და არა ნახევარფაბრიკატს.

რაიონში ეკონომიკის კიდევ ერთ მხარეს ექცევა გაძლიერებული ყურადღება — მეცხოველეობას. ონოღიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში დავათვალიერე მეღორეობის ფერმა. მეურნეობა სულ სამი წლისაა, 1979 წელს ჩამოყალიბდა, ამიტომ ნაადრევია წარმატებებზე ლაპარაკი, ამას მომავალი გვიჩვენებს. მეღორეობის გარდა აქ მისდევენ მეძროხეობას. ჰყავთ 55 სული პირუტყვი. დაუწყიათ მებოცვრეობა, ოღონდ ეს ახალი საქმეა და გამოცდილება აკლიათ. დამაინტერესა ერთმა კარგმა წამოწყებამ. შედეგებზე ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩანაფიქრი მისასალმებელია. უნდა შეიქმნას მეგრული ჯიშის ცხენის ფერმა. თავდაპირველად განზრახულია 25 ცხენის შესყიდვა. იქნებ მოგვარდეს საქმე. ეს კეთილშობილი და სასარგებლო პირუტყვი მართლაც ხელაღებით გავიმეტეთ...

თავიდათავი აქ მაინც საკვების პრობლემაა. რაიონში ცდილობენ ამ საქმის მოგვარებას. თუმცა ეს არც ისე იოლია. ითესება ბალახეული კულტურები და სიმინდი.

ყულევში, იქ, სადაც ზღვას ერთვის ხობისწყალი და მდინარე ცივი, ვრცელი დაჭაობებული მინდვრებია... ასფალტირებული გზიდან მარცხნივ ვუხვევთ ქვიშანაყარზე. ჭონჭყსა და ლეყეპოზე თხმელნარი წამომართულა, მაგრამ ეკალბარდებს ისე აუძენძია, ადამიანი ორ ნაბიჯს ვერ გადადგამს. ქვიშანაყარ გზას წრიულ მოედანზე გავყავართ. პატარა ნავსაყუდელსა ჰგავს, ვრცელ ჭაობნარში რომ შეჭრილა. ორიოდე საცხოვრებელი უკვე აუშენებიათ. იქვე ტრაქტორი დგას, რომლისთვისაც კასრების მსგავსი რკინის ბორბლები მიუდგამთ, რადგან ტალახში იგი სხვანაირად ვერ გავიდოდა. ქვიშანაყარის კიდემდე მივედი. მწვანე წყალში უამრავი თავკომბალა ირევა. ბაყაყების ლაშქარი გაუთავებლად ყიყინებს. ამ ადგილიდან თითქმის 600 ჰექტარზე გადაშლილა საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების თავმჯდომარის ზაურ აბურჯანიძის „სამფლობელო“. მძიმეა აქ ადამიანის შრომა. ზაფხულის პაპანაქებაში, როცა ჭაობი ორთქლდება, მთიბავი მუხლამდე ტალახში დგას და ისე იქნევს ცელს. ამ დროს შეღავათია ზღვიდან მონაბერი გრილი ნიავი. ცალკე პრობლემაა თივის გამოზიდვა და მანქანებზე დატვირთვა... ზაურს ნატვრად გადაქცევია თივის დასატვირთი მექანიზმი, რაც მთიბველებს გაათავისუფლებდა მძიმე და დამქანცველი შრომისგან. კიდევ ერთი პატარა ნატვრა გამანდო გაერთიანების თავმჯდომარემ, ნეტავი ერთი ცისტერნამაცივარი მაშოვნინა, აი ისეთი, ბურახის გასაყიდად რომ იყენებენ, მაშინ ჩემს მთიბველებს ყოველდღიურად, ფოთიდან ახალ-ანკარა წყალს ჩამოუტანენო.

მძიმეა აქ შრომა, ამ ერთი პატარა ნატვრის შესრულება კი არც ისე ძნელია...

ჭაობნარში მოპოვებული თივა, ცხადია, იაფი არ ჯდება, მაგრამ ამ უზარმაზარი სივრცის რესურსთა გამოუყენებლობაც არ შეიძლება. რაიონის კოლმეურნეობებისათვის და მეურნეობებისათვის ეს საკვები ერთგვარი დამატებაა, სიძნელის ჟამს რომ წაადგებათ. მალე ალბათ ამუშავდება ბალახის დასაფქვავი აგრეგატიც და საქმე უკეთ წავა წინ. ეგაა, ტრაქტორებისა და მანქანების ჭარბი რაოდენობით გამოყენება თითქმის შეუძლებელია, ამით შეიძლება ეკოლოგიური წონასწორობა დავარღვიოთ. ზაურ აბურჯანიძე, ვფიქრობთ, ყოველივე ამას ითვალისწინებს.

გეგეჭკორის რაიონი უმთავრესად აგრარული რაიონია. მსხვილი საწარმოები აქ არ არის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ჩაის ფაბრიკას. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთი ფილიალის აქ გახსნა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ადგილზე დასაქმებას...

მშვიდია გაზაფხულის ღამეები მარტვილში. პატარა დაბაში სიწყნარე ჩამოწვება. ჰაერი სუფთა და გრილია, ყვავილთა სურნელებით შეზავებული. გორაკიდან კარგად ჩანს განათებული ცენტრი, სასეირნოდ გამოსული გეგეჭკორელები ერთმანეთს მიესალმებიან, სამასლაათოდ ყოვნდებიან. აქ ხომ ყველა ერთმანეთს იცნობს... ყოველი მიმართულებით იტოტება ნათურების გირლიანდები. ვარსკვლავიანი ცა თითქოს დაბლა ჩამოსულა, ტაძრის გუმბათს ეხება... თურმე ღამლამობით ბალახი უფრო სწრაფად იზრდება, — ამას გივი ნანავა მეუბნება, აგროსამრეწველო კომპლექსის მთავარი აგრონომი... ამ მშვიდ ღამესაც ალბათ ჯეჯილი ერთი გოჯით მოიმატებს, ოჯალეშის კვირტები დასკდება, ჩაის დუყი წამოიზრდება, ხეხილის ყვავილები უფრო გაიშლება, დაცვენას დაიწყებს... პირველი ხილი გამოყოფს თავს...

ჯერ კიდევ ბევრი შრომა მოგველის ბარაქიან შემოდგომამდე...

დაბა გეგეჭკორი.

როსტომ ელანიძე

## ხალხურ კილოზე

* * *

ფერებიდან მიყვარს ლურჯი
უსასრულო ზეცის ფერი.
მისი არსის ძიებაში
დედამიწა შევძარ მთელი.
სადაც სიბრძნის მზე ანთია,
ყველა დროის გავხსენ ბჭენი...
გადავფურცლე, გადავსინჯე
ბრძენთა აზრი, ჩანაწერი,
მაინც ვერსად ვერ შევიტყვე,
რატომ არის აუხსნელი,
ლურჯი ფერის ეს სამყარო,
ასე რთული, ასე ვრცელი.

* * *

გოგო შემომხვდა გზაზედა
ხოხბის თვალება, შავთვალა,
იმისმა ღიმილის ელვამ
შემაჟრიალა, დამჟლალა.
დაფეთებული რომ მნახა,
აენთო, თავი დახარა!
...მაინც წარბების ჩრდილიდან
თილისმა შემომაპარა.
ისე ამრია... დამათრო...
თავით ფეხამდე გამჭვალა,
ფიქრების ზღვაში შემაგდო,
ქვეყანა შემომატარა.

## შეხვედრა მკითხველთან

8 აპრილს ქარელის საზოგადოება შეხვდა ჟურნალ „დროშის“ რედაქციის მუშაკებს. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ომარ კილასონიამ.

ჟურნალის ბოლო წლების ნომრები მიმოიხილა და დამსწრეთ თავისი მოსაზრებანი გააცნო პარტიის ქარელის რაიკომის მდივანმა ვალიკო თოთლაძემ.

ჟურნალის მუშაობისა და მომავლის გეგმების შესახებ ილაპარაკა „დროშის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ თენგიზ გოგოლაძემ.

ჟურნალის განხილვაში მონაწილეობდნენ: ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ომარ ფილიშვილი, ქარელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ თურქაძე, წიგნის მოყვარულთა რაიონული საზოგადოების თავმჯდომარე დავით მურმანიშვილი, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე თეონა გოჩაშვილი, რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე ნოდარ კობახიძე, პოეტი ალექსანდრე ტაბატაძე.

ჟურნალ „დროშის“ მთავარმა რედაქტორმა ხუტა ბერულავამ გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საქმიანი შენიშვნებისა და გულთბილი შეხვედრისათვის.

# სასიძო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჯახუა

ბათუ გორდელის ქალიშვილმა ერთი შეხედა გუჯუს და დააბრმავა.

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, ძალზე დიდი ხნის წინათ, მაგრამ დღესაც ყველა ისე ჰყვება, თითქოს, აგერ, გუშინ თუ გუშინწინ ყოფილიყოს.

გუჯუ მაშინ მეცხრამეტე გაზაფხულით ივსებოდა და ლაღობდა. სიცოცხლეაფეთქებულ ჭაბუკს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ძარღვებში სისხლი დუღდა და სიცოცხლე ბობოქრობდა.

მოსული ვაჟი იყო გუჯუ, მკერდგანიერი, მოცეკვავესავით წელში გამოწვართული, ჩონგურის ხმაზე ხელებს რომ გაშლიდა, გული ელეოდათ წარბხატულა ქალიშვილებს. თუ საჭიდაოდ გადავიდოდა, წრე იშლებოდა, გუჯუსთან შერკინებას აბა ვინ გაბედავდა. ლამის თვითონაც ირწმუნა, ჩემი მომრევი არავინააო ქვეყნად და...

ბაზრობა იყო, კვირა დღეს ახლომახლო სოფლის მოსახლეობა თავს იყრიდა ბანძის ბაზარში. აქ მოჰქონდათ სოფლის ხვავი და ბარაქა, სულგუნი, თაფლი, ოჯალეში. მოჰყავდათ მეწველი ძროხები თავიანთი ხბორებითურთ, უკეთესთა შორის უკეთესი ჯიშის ცხენის შეძენაც აქ შეიძლებოდა.

უფროსებთან ერთად ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები, თვალმახარა გოგო-ბიჭები, მხოლოდ, ბაზარში არც კი შეიხედავდნენ, ზოგნი ხორაგის შეზიდვასა და დახლზე დალაგებაში წაეხმარებოდნენ მშობლებს, მერე კი ბანძის განთქმული ბაღისაკენ გაილალებოდნენ.

— ფრთხილად იარე, გოგო, ემანდ ეშმაკებს არ გადაეყარო, — ეტყოდნენ მშობლები, რაკი იცოდნენ ამ ბაღის ამბავი.

იმ დღეს გუჯუც ბაღში დასეირნობდა, გაზაფხულის კრიალა ამინდი იდგა. გამჭვირვალე სივრცეში ლივლივებდა მზის სხივები და ყველაფერი ჰაეროვანი, მიმზიდველი, დამათრობელი ჩანდა, — ტანკენარი ნაძვები და კვიპაროსები, ჭადრების აფეთქებული ყლორტები, მოხასხასე ბალახი.

გუჯუს ახალუხის საგულისპირე გაეღეღა, თეთრი ბაშლაყი განიერ მხრებზე გადაეგდო და ძმაკაცებთან მოაბიჯებდა.

ცირუც თანატოლებს შუაში მოექციათ, სადედოფლოს ჰგავდა. მისი ჩამოქნილი შავი წარბ-წამწამით მოხატული სახე რძისა და მზის სითეთრეს აფრქვევდა, გრძელი თეთრი კაბაც ნიავის ფრთებს მოჰქონდა თითქოს, მაჯისსიმსხო ორი შავი ნაწნავი კოჭებამდე დასთამაშებდა. ქალიშვილმა შემთხვევით შეაფეთა ვაჟს მზერა და ცეცხლად აბრიალდა. ის კი არა, გული ლამის ჩიტივით ამოუფრინდა საგულედან.

გუჯუმ იფიქრა, ალბათ მზეს თუ შევეფეთეო, რადგან მზემ იცის ასე, თვალს გაუსწორებ და მერე დიდხანს ცეცხლოვანი დისკო გიდგას თვალში. გუჯუს ცირუს ხატი ჩაუსახლდა თვალთა გუგებში და წახდა ვაჟკაცი.

ცირუს მამა, ბათუ, ერთი თავზე ხელაღებული აბრაგი და ცხენის ქურდი იყო, აფხაზეთში მოპარულს იმერეთში ჰყიდდა, გურიაში აწაპნილს რაჭაში გაასაღებდა, იმერეთიდან წამოყვანილს საშურზაყანოში გადაკარგავდა.

გუჯუ დახლთან იდგა და ოჯალეშით იგრილებდა ცირუსაგან დახანძრულ გულს.

— მივალ, მე თვითონ ვეახლები და ვეტყვი! — თავის გადაწყვეტილებას ანდობდა ძმაკაცებს.

— გაგიჟდი, ძმავ, ბათუსათვის უბატონოდ ვის შეუბედავს სიტყვა... წაგახდენს ეგ ჯოლორკოჩი.

— ჰგირჩევნია, დადია-ბატონს სთხოვო ასული, ვინემ მაგ სულწაწყმედილ ყაჩაღს! — გულწრფელად ვერ იმეტებდნენ თანშეზრდილები გუჯუს.

— ვნახოთ, რას მიზამს, მივალ და ვეტყვი, მიყვარს-მეთქი... — გუჯუმ გადაწყვიტა და, რაკი თქვა, ვინ გადაათქმევინებდა. ახლა მთავარი იყო კარგი ჩოხა-ახალუხის, ყაბალახისა და ჯიშიანი თოხარიკის შოვნა. ბიჭებიც დატრიალდნენ.

— მასპინძელო, ჰე-ჰეი, მასპინძელო!

მართალია, ფრინველები კი დაფრინავდნენ და საკმაოდ მრავლადაც, მაგრამ ხალხი მაინც ამბობდა ბათუს ეზოში უნებართვოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებაო. სოფელს გარიდებული ცხოვრობდა. შორიდან მისი ეზო უღრან ტყეს წააგავდა.

მუხის ფიცრისგან მკვრივად ნაგები, კრამიტის სახურავიანი ოდა გზის პირიდან შორს, ეზოს შუაგულში ედგა.

დღისით, მზისით ბათუ იშვიათად, შინ რომ არ ყოფილიყო. მაშინ დღე იყო და მასპინძელიც ეზოს სიღრმეში თუთის ჩრდილქვეშ ძელსკამზე ნებივრობდა. იქვე ბალახს წიწკნიდა მურუცხია, ყაბარდოული ცხენი, მართლაც ვარსკვლავებს შეთამაშებული ჯიშიანი ულაყი.

პირველ დაძახებაზე თვით ქრისტე ღმერთიც რომ მოსდგომოდა თავისი მოციქულებით, ბათუ არ გამოეხმაურებოდა. ახლაც ასე მოიქცა. მერე კი ხელი მოიჩრდილა, ცერად გახედა ჭიშკარს, კარგად შეათვალიერა წაბლისფერ ულაყზე ამხედრებული ჯეელი.

— მობრძანდით, — შეეხმიანა ისე, რომ ზეზე არც კი წამოწეულა, მხოლოდ თავი ოდნავ მოაბრუნა, თან აცეკვებული ცხენის ფეხებს თვალს არ აშორებდა.

ჭიშკრის გაჩხაკუნებაზე სამი მგელძაღლი, თითო, თითო ხარს რომ შეჭამდა, სადღაც ჩირგვებიდან გამოენთო, სამი ურჩხული მოფხოკავდა მიწას ცხენ-მხედრის დასახვედრად.

— წაკ, თქვე ოხრებო! — შესძახა ბათუმ და სამი თვინიერი ძაღლი მის ფეხებთან აწკმუტუნდა.

გუჯუმ თამაშ-თამაშით მიაგელვა წაბლა თუთის ხემდე. ახლა კი მასპინძლის ზრდილობამ მაინც გადაძალა ბათუ და როდესაც ძელსკამიდან წამოიწია, მხოლოდ მაშინ გადმოევლო უნაგირს სტუმარი.

— კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, ცხენიც შესაფერი გყავს, მაგრამ ვერ გიცანი, ყმაწვილო, მგონია, პირველად გხედავ! — ერთხელ კიდევ რომ შეათვალიერა, ცივად მიახალა მასპინძელმა.

— გუჯუ მქვია, ბატონო, სხვას ვერაფერს გეტყვით ჩემს შესახებ, მაინც ვერ მიცნობთ და... — მოკლედ მოუჭრა სტუმარმა.

— დაბრძანდით, ყმაწვილო, დაბრძანდით, მაინც რითი შემიძლია გემსახუროთ?! — ბათუმ ისევ მიაყრდნო თავი დაკოჟრილ ხეს და ერთხელ კიდევ გალანდა ცხენი.

გუჯუ არ დაჯდა. ერთი კი შეათამაშა მხრები და მასპინძელს სახეში შეხედა.

— თქვენი ქალიშვილის, ცირუს, ხელის სათხოვნელად გეახელით, ბატონო!

— რაო?! — გვიან გამოერკვა მასპინძელი და ყრუ ხავილი აღმოხდა.

ასეთი ხაფი ხმით, ბათუს რომ ჰქონდა, ტყაშმაფა თვით უმძვინვარეს ნადირს არეტიანებს და ადგილზე კლავსო, — ამბობდნენ სოფელში.

გუჯუს წარბი არ შეუხრია, ულვაშებში ჩაიღიმა.

— ცირუ შემიყვარდა, ბათუ ბატონო, — ხმა შეუვალი იყო, პატრონის უდრეკი ნება ჟღერდა მასში.

ბათუ შეცბა, ხშირი წარბები აუთამაშდა, კატის თვალთა ცბიერებამ იალა წამით, მაგრამ კვლავ იძალა მასპინძლის ზრდილობამ.

— რა საქმის კაცი ხარ, ყმაწვილო?

— გლეხი, ბატონო, მიწა მაქვს და მკლავიც მომდევს.

— ეგა ხარ სულ?! — ცივი ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილი დააკვდა მასპინძლეს ტუჩებზე.

— სხვა რა უნდა ვაკეთო, ბატონო?! — გულწრფელად გაიკვირვა ყმაწვილმა.

— ეგ ცხენი მოპარულია?

— მეზობლისაა.

— ცხენი თუ მოგიპარავს? — ბათუ ახლა თვალით ჭამდა ულაყს.

— ცხენი რად უნდა მომეპარა, ბატონო, სხვისი საქონელი რალად გამომადგება?

ბათუ შეტოკდა, ცქვიფად აუხტა მარჯვენა, მაგრამ ისევ სძლია თავს.

— შენ გგონია, ნათხოვარი ცხენით გაგატან ქალიშვილს? ან ის რა ვაჟკაცია, ვისაც ცხენი არ მოუპარავს! — კვლავ გაკვესეს კატის თვალებმა.

ამჯერად გუჯუ შეცბა, დაიძაბა, მისი ვაჟკაცობა აუგად ჯერ არავის უხსენებია. წყენა გადაყლაპა და იქვე მობალახე მურუცხიას მიაპყრო მზერა.

— ვარსკვლავივით ცხენი გყოლიათ, ბათუ ბატონო, აქებდნენ, მაგრამ დღემდე არ მენახა, ერთ რამედ კი ღირს.

ბათუ მხოლოდ ახლა ჩამოიწია, ცხენი რომ შეუქეს, ეამა, გული აუჩქროლდა, ალერსით გახედა ბედაურს, წყენამაც გადაუარა, დინჯად წამოდგა, ცხენს შეეხმიანა და პასუხად ჭიხვინი რომ გაისმა, მხოლოდ მაშინ ჩაილაპარაკა.

— ყაბარდოდან მყავს ჩამოყვანილი, დუნიაზე არა მგონია, ბადალი ჰყავდეს, ცხენი კი არა, სიცოცხლეა, მზესთან წილნაყარი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბათუ ბატონო! — ცივად გამოემშვიდობა გუჯუ, მაგრამ მასპინძელს მისთვის აღარ ეცალა, თავის მურუცხიას ესიყვარულებოდა.

●

მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა, არც მეტი და არც ნაკლები. ოდიშში კი არა, საათხაზოსა და გურია-იმერეთსაც ელვისებურად მოედო ხმა, ბათუს ცხენი მოპარესო.

ცხენი ცხენია, მაგრამ თავი და თავი ის იყო, ვინ შებედა აბრაგთა მეფეს, ვინ იყო ძეხორციელი, მის ჩიტშეუფრენელი ეზოდან ულაყი გამოეყვანა და მისი კაციჭამია ძაღლები პირჩალაგამოვლებულები დაეტოვებინა.

დიდი და პატარა შიშით და ძრწოლვით მოელოდა მოვლენათა შემდგომ მსვლელობას. ეჭვი არ იყო, ბათუ მთვარეზეც კი მისწვდებოდა იმ უხორცოს და გულს ხანჯლით გაუპობდა... დღე დღეს მისდევდა და დანა პირს არ უხსნიდა აბრაგს. ბათუ ეზოდან არ გამოდიოდა, ისე კი ხმა გამოვიდა, სამივე ძაღლი იმავ დილით მიასაკლავაო. ჯერჯერობით სხვა ვერავინ მოიხელთა მათ მისაყოლებლად.

დღისით კაცი არ ჭაჭანებდა იმ არემარეში, სამაგიეროდ შეღამებისას მოჰყავდა შავნაბდიანი ლანდები, ცხენის ფლოქვთა თქარათქური მხოლოდ ბათუს ჭიშკართან იკარგებოდა. თუთის ხის ქვეშ ყოველ ღამე იმართებოდა ბჭობა, ათასი ვარაუდი ისხამდა იმედს, მხოლოდ იმედს, მეორე დღეს ყველა ისინი ლანდებთან ერთად ქრებოდნენ.

დღეები მიიკრიფებოდნენ... ზოგი გულს იფხანდა, ჰაი დედასა, მაგას რომ ხალხი უწიოკებია... კი ყოფილა ღმერთი და სამართალი ქვეყანაზე, მასე მოუხდება, იკვნიტოს ახლა ტუჩები და იღრინოს თავისი ნაგაზების მაგივრად... — ჩუმად ამბობდნენ, თორემ, ღმერთს ნუ ექნა, ბათუს ყურამდე მისულიყო ეს ხმები.

ღამეს მიჰყვებოდნენ მსტოვრები სამურზაყანოში, რაჭასა და ლეჩხუმში. ყაბარდოშიც კი აფრინეს კაცი.

კვირა დილას ბევრი ღამეული სტუმარი შემორჩა ბათუს თუთის ჩეროს. წასასვლელი არსად იყო, ყველა გზა მიილია და დაიწრიტა. ვერც გამძვინვარებული და მბორგავი მასპინძელი დატოვეს მარტო. ისხდნენ და უხმოდ აბოლებდნენ ყალიონს. ჩიბუხს ჩიბუხზე ქაჩავდა ძელსკამზე წამოწოლილი ბათუც, დანა კი არა, ხანჯალიც ვერ გაუხსნიდა ახლა პირს.

უცებ შორიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა, მასპინძელმა ყურები ცქვიტა, მერე სტუმრებიც დაიძაბნენ. ბათუს სმენას წამითაც არ გამოპარვია თოხარიკის აწყობილი, ხმა, რაღაც იგუმანა და გულიც შეუქანდა, ჩიბუხიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ულაყმა დაიჭიხვინა, თითქოს პატრონს შეეხმიანა, წამიც და ცხენმხედარი ზედ ჭიშკარს გადმოევლო და სანამ ბათუ წამოდგებოდა, უკვე მის წინ დადგა. გაქაფული მურუცხია ფრუტუნებდა, დუჟიან აღვირს ახრამუნებდა და თავს აკანტურებდა. გუჯუ დინჯად გადმოევლო ცხენს, მოწიწებით დაუკრა თავი იქ მყოფთ, მოკრძალებით მიეახლა მასპინძელს.

— შევარდენი გყოლიათ, ბათუ ბატონო, მართლაც რომ ერთ კაცად ღირებულა ეს ცხენი!

ბეჭებში ოდნავ მოხრილი იდგა ბათუ — თითქოს ავაზა ნახტომისთვის ემზადებაო. ოდნავ მოჭუტული თვალებიდან ველური ცეცხლი უელავდა, თხელი ნესტოები უთრთოდა, ხშირად სუნთქავდა. ადგილიდან არ დაძრულა. იგი ახლა სანთლისგან ჩამოქნილს ჰგავდა, მხოლოდ თვალები მოძრაობდნენ. ფეხის წვერებიდან ააყოლა მზერა ყმაწვილს, განიერ, ვაჟკაცურ მკერდთან დაახანა, მერე ჯიუტად გაშლილ, მაგრამ ნათელ შუბლს შეაჩერდა.

ლორთქო ყლორტს სადღაც ნამი მოწყდა და მიწაზე გაინკარუნა, ვილაცის შეგუბებული სუნთქვა დასხლტა ნესტოებს. თითის წვერებზე იდგნენ სტუმრები, ყამის ვადაზე ძალუმად კანკალებდნენ თითები. ბათუს საყვარელი „ნაკ“... ხაფი ხმის ამოხავლება და...

მასპინძელი გახევებული იდგა. მან შუბლიდან ისევ ფეხის წვერებზე დააპირა მზერის გადატანა და უცებ გუჯუს გამოხედვამ გაყინა... მათი თვალები წამით შეიბნენ... სხივთა ჭიდილმა დიდხანს არ გასტანა და მოხდა საოცრება, ჭაბუკის თვალთა ცეცხლმა დაჯაბნა აბრაგი — თავის სიცოცხლეში პირველად გატყდა ბათუ. სხეული მოუდუნდა, მოეშვა, მერე წელში გასწორდა, თითქოს სახის ნაკვთები თავის ადგილს დაუბრუნდნენ.

— შინ შემობრძანდით, სიძევ ბატონო! — სითბოდაყოლილი დინჯი ხმით მიიპატიჟა ბათუმ სასიძო და ოდასახლისკენ გაუძღვა.



ნახატი თენგიზ სამსონაძისა

# საგულისხმო, სახალისო

...საფრანგეთში ამას წინათ დაამზადეს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ელექტრომაგნიტი, რომლის დიამეტრი 2,2 მეტრია, წონა — 11500 კილოგრამი.

ელექტრომაგნიტს შეუძლია ერთდროულად 160 ტონა ტვირთი ასწიოს.

...ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ჯუჯა ტირიფის ხე იზრდება გრენლანდიის ტუნდრაში.

მისი სიმაღლე 5-6 სანტიმეტრია.

...ხეებს შორის ყველაზე გრძელი ფესვები აქვს აკაციას, რომელიც აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იზრდება.

ამ ხის ფესვები მიწაში 88 მეტრის სიღრმემდე ჩადის.

...მსოფლიოში ყველაზე გრძელი სიტყვა 184 ასოსგან შედგება.

ეს ბერძნული სიტყვა ყველაზე ხშირად არისტოფანეს ნაწარმოებებში გვხვდება.

...ყველაზე გრძელი ხის კიბე ნორვეგიაში გააკეთეს.

მისი სიგრძე 1 კილომეტრამდეა. კიბე 3.175 საფეხურისაგან შედგება.

...იაპონიის კუნძულ ოკინავას მახლობლად ამას წინათ დაიჭირეს ზვიგენი, რომლის სიგრძე 5 მეტრი იყო, წონა — 1750 კილოგრამი.

ასეთი დიდი ზვიგენი ჩვენს პლანეტაზე პირველად დაიჭირეს.

...ყველაზე „ძვირფასი" წერილი 1845 წელს გაგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ალექსანდრიიდან ქალაქ რიჩმონდში.

საფოსტო მარკა, რომელიც ამ წერილის კონვერტზე იყო დაკრული, ამას წინათ ჟენევაში გაიყიდა... 1.000.000 დოლარად.

...საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, თვითმფრინავი დღეს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტია.

ყოველ მილიონ გაფრენაზე ახლა საშუალოდ 1,5 კატასტროფა მოდის. ოციოდე წლის წინათ კატასტროფათა შემთხვევები ოთხჯერ მეტი იყო.

# ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიძია, ბურთი მომაწოდე!

როდესაც ორმოცდაათ წელს გადაცილებული ხარ, ასეთი მომართვა იმ წუთშივე მოგონებებში ჩაგძირავს.

ამ ცოტა ხნის წინათ მივდიოდი კამოს ქუჩაზე, გავიარე 23-ე სკოლის წინ, ჩვენი მშობლიური სკოლის წინ, რომელსაც წინათ მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა ეწოდებოდა, ანუ უბრალოდ თბილისში ცნობილი იყო, როგორც მესამე საცდელი.

შემთხვევით გადმოგდებული ბურთის დაბრუნება უბრალოდ, ყოველგვარი ეფექტის გარეშე, ვერ შევძელი, არ მეყო თავქეკავების უნარი, შეძლებისდაგვარად „დავამუშავე" და როგორც შემეძლო, მთელი „ოსტატობის" გამოყენებით დავაბრუნე უკან.

მაშინ მე მთელი ხმით დავიძახე: — ბიჭებო! მეც მათამაშეთ.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე დავრბოდი მათთან ერთად და ვყვიროდი: „პასი", „კორნერი", „პენალტი". მაგრამ ბურთის გატანა მინდოდა. მატჩის შემდეგ უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბიჭებმა მთხოვეს, კიდევ ერთხელ მივსულიყავი ფეხბურთის სათამაშოდ.

ომამდე თბილისში „ველური" ფეხბურთი ყვაოდა. მაშინ ათეულობით ეზოსა და ქუჩის გუნდები იყო პლეხანოვის გამზირზე და მარჯანიშვილის ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდით. ზოგჯერ არც ნამდვილი ბურთი გვქონდა და არც ფეხბურთის ფორმა. სამაგიეროდ, გვქონდა დაუძლეველი სურვილი, გვეტარებინა ბურთი. ვთამაშობდით უმსაჯოდ (ისედაც ყველამ ვიცოდით: სამი კუთხური — ერთი პენალტია). ვთამაშობდით ოთხი ოთხზე, ექვსი ექვსზე და ყველა სხვა ვარიანტში. სკოლაში ვთამაშობდით კალათბურთის მოედანზე „ბუქურების" გუნდი, რომელშიც შედიოდა 4 მოთამაშე — დემენტიკა, კუსო, ტატიევი და სოსკა — ამ სტრიქონების ავტორი. სკოლაში ფეხბურთის თამაშში ვბაძავდით უფროსკლასელებს — შალვა მახარაძეს, ზედმეტსახელად წოდებულ „მახორკას", ამჟამად ქირურგიის ინსტიტუტის პროფესორს და თემო გუგუნავას, შემდგომში საკმაოდ ცნობილ ფეხბურთელს.

რასაკვირველია, 50 წლისწინდელი ადამიანის ცხოვრებაში დიდი პერიოდია. ჩვენი კლასიდან ფრონტზე არავინ არ წასულა, რადგანაც წვევანდელის ასაკს მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ მივაღწიეთ, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა ყველა ჩვენგანს თავისი დაღი დაასვა. ჩვენი სკოლის ეზოში ისევ ისმის ბედნიერი თაობის ჟრიამული და გვსურს, რომ სულ დანათოდეთ ლურჯი, კაშკაშა, მშვიდობიანი ცა.

მაგრამ მე კი როგორ მინდა, დღესაც დავდგე შუა ეზოში და დავუძახო ჩემს ყოფილ თანაკლასელებს: ჩიგოგ, დემენტიკ, ტატიევ, ჩირგო, კუსო, ზაზკა, დოსკუმ, ვანცა, მესხო, კახნო, სვანკო, მჟავან, მეც ვთამაშობ!

**სოზარ ახვლედიანი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: „მაისი თბილისში" საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მამია ახობაძე.

მონტაჟი მზია ლობჟანიძისა

გადაეცა წარმოებას 14. IV. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. V. 82 წ., უე 06266, ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 51000, შეკვ. № 1014, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66,
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69,
პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## გეორგიევსკის ტრაქტატი 200


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წიგნი ფიცისა“

### ახალი ქართული სატელევიზიო ფილმი



გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება მრავალსერიანი ფერადი ფილმი „წიგნი ფიცისა“, რომელსაც საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით იღებს საქართველოს ტელევიზია.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, სცენარის ავტორი — ა. სალუქვაძე, რეჟისორი — ა. დარსაველიძე, მთავარი ოპერატორი — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე ლ. ნამგალაშვილი, მხატვარი — კ. ხუციშვილი, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ბ. კვერნაძემ.

ფილმს, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების განუყრელ მეგობრობაზე მოგვითხრობს, მალე იხილავს ტელემაყურებელი.







ინდექსი 76056

# დროშა